



გ. ბუიშვილი, თ. დლონტი

ვაზის ჯიშის ხიხვის ყურძნის
სამეცნიერო-ტექნოლოგიური შესწავლა
სხვადასხვა ტიპის დვინომასალის მიღების
მიზნით

თბილისი 2009 წ



გ. ბურგილი, თ. ლლონტი

ვაზის ჯიშის ხიხვის ყურძნის
სამეცნიერო-ტექნოლოგიური შესწავლა
სხვადასხვა ტიპის ღვინომასალის მიღების
მიზნით

თბილისი 2009 წ

63.2 (479.22) + 634.8 (479.22)



წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია უკანასკნელი ჯიშ ხის გადასხვა ტიპის ღვინომასალის დაუნების ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მახასიათებლების შემუშავება. აღნიშნული საკითხი ითვალისწინებს ვაზის ჯიშ ხის გადასხვა უკანასკნელი საკითხის ტექნოლოგით ღვინოების დამზადებას კახეთის მევნეობის მიეროზონების გათვალისწინებით. შესწავლილი იქნა მიღებულ სხვადასხვა ტიპის ღვინომასალებში ქიმიური შედგენილობა გაზურ-სითხური ქრომატოგრაფიული და სპექტრული ანალიზებითა.

ნაშრომი გათვალისწინებულია აღკოროლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების წარმოების მუშაკებისათვის და აღნიშნული სპეციალობის სტუდენტებისათვის.

F96.674
3

ISBN 978-9941-0-1300-3

ლიტერატურული მონაცემებით (ლენცი 1845) XIX საუკუნის II ნახევრამდე – ყურძნის ჯიში – “ხიხვი” ფართოდ იყო გავრცელებული, გამძლეობით კარგად იყო შეგუებული ადგილობრივ პირობებს და იძლეოდა მაღალი ხარისხის ღვინის პროდუქციას. ნაცრის გავრცელებამ ძლიერ შეამცირა მისი მოსავლიანობა და გამძლეობის უნარი. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ჯიში – “ხიხვი” შედარებით ფართოდ იყო გავცრელებული ახმეტის, თელავის, გურჯაანის და სიღნაღის რაიონებში, იძლეოდა სუფრის და სადესერტო-ლიქიორული ტიპის ღვინოებს (ნ. კეცხოველი, დ. ტაბიძე, მ. რამიშვილი, 1995; გიგიბერია, 1973).

დღევანდელი მდგომარეობით, “ხიხვის” სამრეწველო ნარგაობა აღარ არსებობს. იგი შემორჩენილია მხოლოდ რუისპირში 1 პა ფართობზე და კარდენახში (კერძო პირის ფართობზე ერთეული ძირების სახით). ბოლო წლებში ცალკეულმა მწარმოებლებმა ხელი მოკიდეს მის გაშენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ღვინის სორტიმენტის გაზრდა-გაფართოება თითქმის გაქრობისპირას მისული სამრეწველო ვაზის ჯიშის – “ხიხვის” აღდგენისა სხვადასხვა ტიპის ღვინის დაყენების ქიმიურ-ტექნოლოგიური პარამეტრების შემუშავების საფუძველზე – წარმოადგენს ქართველი მევნენახეობა-მეღვინეობის მეაზად აქტუალურ საკითხს.



კვლევის მიზანს შეადგენდა - უურმნის ჯიშ „ხელოვნებული შესაძლებლობების გამოვლენა იმ მიკროზონებში (თელავის რაიონი, რუისპირი და გურჯაანის რაიონი, კარლენახი), სადაც ხიხვის ჯიშის ვაზი დღესდღეობით მცირდება შემორჩენილი; სხვადასხვა ტიპის დვინოში (კახური, ევროპული, ნახევრადტკბილი) შეგვესწავლა ფენოლური და არომატული ნაერთების შემცველობა ცალკეული მიკროზონის მიხედვით, შეგვემუშავებინა ნახევარდტკბილი დვინის დაყენების ტექნოლოგიური ხერხი დუღილის პროცესში ბუნებრივად და ხელოვნურად ფერმენტირებული ჭაჭის (10%-ის ოდენობით) გამოყენებით.

უურმნის ჯიშ ხიხვისაგან პირველადაა შემუშავებული ბუნებრივად ნახევრადტკბილი დვინის დაყენების ტექნოლოგიური ხერხი; დადგენილია უურმნის ჭაჭის ფერმენტაციის ხერხი ფართოზოლიანი ახლოინფრაწითელი გამოსხივების დიაპაზონისა და მუდმივი მაგნიტური ველის შერწყმული ერთობლივი ზემოქმედების გამოყენებით; შესწავლილია ხიხვის უურმნის კლერტის და წიაღის, ასევე მისგან დაყენებული დვინოსალის არომატული ნაერთები.

პირველადაა შესწავლილი ხიხვისაგან დაყენებული კახური, ევროპული და ბუნებრივად ნახევრადტკბილი დვინოების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები. მათ შორის სპექტროფოტომეტრული მახასიათებლები ინფრაწითელსა და ულტრაიისფერ უბნებში.



შემუშავებულია ყურძნის ჯიშ “ხიხვისაგან” კახური, ევროპული და ბუნებრივად ნახევრადტპბილი ფგრინგბის დაყენების ტექნოლოგიური სქემები, რაც ადასტურებს ზემოაღნიშნული ტიპის დვინოების წარმოების პერსპექტიულობას, აღნიშნული ფაქტორი ქართული დვინის სორტიმენტის გაზრდის რეალური წინაპირობაა.

1. ყურძნის ჯიშ ხიხვის ბაზრიცელების არჩალი, მისი სამეცნიერო ტექნოლოგიური დახასიათება

ხიხვი ადგილობრივი (კახური) მცირედგავრცელებული სტანდარტული ვაზის ჯიშია, იძლევა მაღალხარისხოვან სუფრის თეთრ დვინოს, ხოლო ზოგიერთ მიკრორაიონში მაღალხარისხოვან სადესერტო დვინოს.

ლიტერატურულ წყაროებში ხიხვის სინონიმი არ არის ცნობილი. თელავის და ახმეტის რაიონებში ჯიში ატარებს “ჯანანურას” სახელწოდებას, რომელიც მიღებული აქვს ახმეტის რ-ნის სოფ. ჯანაანიდან, ხოლო გურჯაანის და სიღნაღის რაიონებში ჯიში ცნობილია – “ხიხვის” სახელწოდებით. მათი იგივეობა დადგენილია ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთზე, სოფ. რუისპირიდან და კარდენახიდან ჩამოტანილი ვაზების შედარებით. უცხოეთის ამპელო-გრაფიებში ხიხვი აღწერილია და მოკლედ დახასიათებულია (ხიხვის მწვანე) (*Khikva Mtswane*) სახელწოდებით.

ძირითადი მორფოლოგიური ნიშნების – ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა, მრგვალი მარცვალი და სხვა აგრო-



ბიოლოგიური ნიშან-თვისებების შედარებითი შექმნასთვის
მოპოვებული მონაცემების მიხედვით ხიხვი გამოიყენება
წარმოშობის ადგილობრივი კერიდან არის წარმოქმნილი.
თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით
ხიხვი ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ჯგუფის ვაზის ჯიშებს
ეკუთვნის.

ჯიშის ხნიერების საკითხის განსაზღვრა უფრო
გაძნელებულია, რადგან საჭირო სამეურნეო ისტორიის ძე-
გლები არ მოიპოვება. ასეთ შემთხვევაში აკად. ივ. ჯავახიშ-
ვილი ჯიშის შედარებითი ხნიერების განსაზღვრის ერთ-ერთ
საიმედო მეთოდად თვლის ჯიშის სახელწოდებათა ენობრივ
ანალიზს. ცალკეული სიტყვის აგებულებისა და დროის მან-
ძილზე მისი ცვალებადობის გათვალისწინებით შესაძლებე-
ლია შედარებით სწორედ განისაზღვროს ვაზის ჯიშის
ხნიერების საკითხი. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით აკ. ივ.
ჯავახიშვილმა ხიხვი რქაწითელზე უფრო ხნიერ ჯიშად
მიიჩნია, რომლის წარმოშობა ახალი ერის V და მომდევნო
საუკუნეებს მიაკუთვნა.

აღსანიშნავია, რომ ხიხვისა და მისი მსგავსი სახელ-
წოდებით საქართველოში სხვადასხვა ჯიშია ცნობილი:
კახეთში – ხიხვი, რაჭაში – ხიხვა, ლეჩეუმში – ხიხვი, სამე-
გრელოში – ხემხე და გურიაში – ხემხო. კახეთის, რაჭისა
და ლეჩეუმის ხიხვის შესახებ მოიპოვება სრული ბოტანი-
კური აღწერა და სამეურნეო დახასიათება, --რომელთა
მიხედვით ისინი შებუსვილფოთლიანი, მრგვალმარცვლიანი,
თეთრი მაგრამ ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავებული



ჯიშებია; რაც შეეხება ჯიშ ხემხოს და ხემხუს ეს ჯიშები კუთხით განვითარებული აღმოჩენილი არ არის და არც მათი სამეცნიერო და ასიათებაა შემონახული. აკად. ივ. ჯავახიშვილი სახელწოდებათა – ხიხვი, ხიხვა, ხემხუ, ხემხო – ენობრივ ანალიზზე დაყრდნობით, გულისხმობდა ერთი ჯიშის არსებობას და ამ სახელწოდებათა შორის არსებული განსხვავებას ხსნიდა საუკუნეთა მანძილზე წარმოებულ სიტყვის ფონეტიკური ცვალებადობით, მაგრამ ამ ანალიზის მასალები საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო დასკვნის გამოსატანად.

სავსებით დასაშვებია, რომ ხიხვი თავდაპირველად წარმოადგენდა ახლონათესაურ, მაგრამ საკმაოდ განსხვავებული წიპწებიდან აღმოცენების ნარევს. შემდგომში მისი სხვადასხვა რაიონში გავრცელების შედეგად მოხდა მათი დიფერენცირება გარემო პირობებისადმი შესატყვის ფორმებად. პირვანდელი სახელწოდების შენარჩუნებით. ამ გზით შეიძლება წარმოქმნილიყო ერთი სახელწოდების რამდენიმე განსხვავებული ჯიში.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გამოჩენამდე ხიხვი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული კახეთში. ახმეტის, რუისპირის, იყალთოს, გორგორების, არტოზანის, ალექსაურების, კურდღელაურის, ვაზისუბნის, ვეჯინის, კოლაგის, ბაკურციხის, კარდენახის და კახეთის სხვა სოფლების დვინოების მაღალი ხარისხი მიეწერება, ძირითადად ხიხვს, რომელიც გავრცელებული ყოფილა როგორც წმინდა ვენახების, ისე ნარევის სახით მწვანესთან და რქაწითელთან ერთად.



ივან ლენცის (1845) მონაცემებით, ჯიში ზიხვა^მ რქაწითელთან, საფერავთან, კახურ მწვანესთან და ტცვალა-თან ერთად, უვროპულ ჯიშებთან შედარებით, გამოირჩეოდა ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებულობით, გამძლეობით და იძლეოდა მაღალი ხარისხის პროდუქციას.

საქართველოში მევენახეობის და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით გულდასმით იქნა გადასინჯული საქართველოს ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა და ყველა ძვირფასი, ისტორიულად ცნობილი ვაზის ჯიში, რომელიც ძველად რაიმე მიზეზის გამო (მცირე-მოსავლინობა, ავალმყოფობათა მიმართ სუსტი გამძლეობა და სხვა) არ მრავლდებოდა, შეტანილ იქნა ვაზის სარაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში, მათი აღდგენისა და შემდგომში ფართოდ გავრცელების მიზნით.

დღეისათვის ხიხვის ნარგაობა თითქმის აღარ არსებობს შემორჩენილია მხოლოდ თელავის საცდელი სადგურის რუისპირის ნაკვეთში 4 ათეული რიგის რაოდენობით და სოფ. კარდენახში ერთეული ძირების სახით (დაახლოებით 80-100 ძირის რაოდენობით).


ყვარლის სანერგეში გამოყვანილია ხიხვის ნერგი, რაც ხელს შეუწყობს მისი ფართობების აღდგენას ტრადიციულ მიკროზონებში.

ყურძნის ჯიშ ხიხვისაგან სხვადასხვა ტიპის ღვინის დაყენების ტექნოლოგიური მახასიათებლების შესახებ მონაცემები მეტად მწირია. ცნობილია მხოლოდ რამდენიმე ფაქტი მთელ რიგ ავტორიტეტულ სადეგუსტაციო კომისიების



სხდომებზე, ხიხვი ღვინო მუდამ მაღალ შეფასებას იღებდა. 1946 წლის 11 აპრილს ქ. მოსკოვში ცენტრალურ საფაუნდაციო კომისიის სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ წარდგენილი ღვინის ნიმუში 1942 წლის მოსავლის იყალთოს “ჯანანურა” დახასიათებული იყო შემდეგნაირად: “მოოქროსფერო, არომატი დამახასიათებელი, გემოთი ნაზი, ჰარმონიული, საშუალო ბალი 9,1”, იმავე სადაც გუსტაციო კომისიის სხდომაზე მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ევროპული ტიპის ხიხვის ღვინო დახასიათებული იყო შემდეგნაირად: “დია მოოქროსფრო, ორიგინალური ჯიშური არომატი, გემო სასიამოვნო მოტკბო” (საქართველოს ამპელოგრაფია, 1962).

უმაღლესი ხარისხის სადესერტო-ლიქიორული ტიპის ღვინოს იძლევა ხიხვი კარდენახის მიკრორაიონში. ეს ღვინო ცნობილია “ხიხვის” სახელწოდებით, რომელიც შექმნა სამტრესტის მთავარმა მეღვინემ ვ. კანდელაკმა, „ხიხვი“ მუქი ქარვისფერია, სრული, ჰარმონიული გემოთი (ტოკაის ღვინისათვის დამახასიათებელი ბუკეტით), ღვინო შეიცავდა 13⁰-ალკოჰოლს, 5-7% საერთო მეავიანობას და 24% შაქარს. სადესერტო ღვინო “ხიხვი” მაღალი გემოვნური თვისებების გამო მუდამ მაღალ შეფასებას იღებდა. ასე მაგალითად: 1940 წლის მოსავლის ხიხვმა, რომელიც შეიცავდა 14,2⁰-ალკომოლს, 4,3% - ტიტრულ მეავიანობას, 0,39 გ/ლ მქროლავ მჟავას, 25% - შაქარს, ცენტრალურ სადეგუსტაციო კომისიის 1944 წლის 2 იანვრის სხდომაზე 9,1 ბალი მიიღო და დახასიათებულ იყო როგორც, მეტად მაღალი ღირსების სადაც-



სერტო დგინო. ასეთივე მაღალი შეფასება აქვს მიღებული
მას რესპუბლიკური სადეგისტაციო კომისიის უნდაშემცირებულ
გალითად, 1944 წლის მოსავლის “ხიხვა” მაღალი უნდაშემცირებულ
ნიშანი – 8 ბალი, 1946 წლის მაისში ჩატარებულ სადეგუს-
ტაციო სხდომაზე, ხოლო 1947 წლის სადეგუსტაციო სხდო-
მაზე 1945 წლის მოსავლის ხიხვა 9,5 ბალი. ბუდაპეშტში
1972 წელს ჩატარებულ მსოფლიო დეგუსტაციაზე წარ-
მოდგენილ 16 ქართული ნიმუშიდან, ოქროს მედალი
მხოლოდ ხიხვა დაისაკუთრა. “ხიხვი”, რომლის კონდიციები
იყო ალკოჰოლი $14,5^0$, შაქარი 18-22 ; ტიტრული მჟავიანობა
4-5%, დახასიათებული იქნა შემდეგნაირად: მუქი ქარვისფერი,
განვითარებული ბუკეტი, გემო შოკოლადის, თაფლის ტონით,
ნაზი, სხეულიანი, პარმონიული [სირაძე, 1975].

12. სხვადასხვა ტიპის ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პარამეტრების დახასიათება

ყურძნის ჯიშ – ხიხვისაგან დაყენებული სხვადასხვა
ტიპის (კახური, ევროპული, სადესერტო-ლიქიორული) ღვი-
ნოების ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური
მახასიათებლების შესახებ ლიტერატურაში შედარებით
მწირი მონაცემები არსებობს. ამ ღვინოების შესახებ წარ-
მოდგენას გვაძლევს უპირატესად ორგანოლეპტიკური შე-
ფასების მონაცემები.

XX საუკუნის 60-70იან წლებამდე არსებული ლიტ-
ერატურული მასალები: ნათელ წარმოდგენას გვაძლევს



„ხიხვის“ გავრცელების არეალსა და მისგან დაყენებულ მრავალ კონტენტზე ვაღიეროვან პროდუქციაზე ქართლსა და კახეთში დოკუმენტების „ხიხვის“ გავრცელების არეალი შემცირებულია, რაც არ იძლევა საშუალებას სამეცნიერო საწარმოო კვლევა-ძიების გზით წარმოვადგინოთ ფართო სურათი აღმოსავლეთ საქართველოში ვაზის ჯიშ „ხიხვის“ პოტენციური შესაძლებლობების შესახებ მეღვინეობის მიმართულებით, ამდენად, იძულებული ვიყავით, შევჩერებულიყავით რუისპირსა და კარდენახზე, სადაც დღესდღეობით მეტად მცირე ფართობზედაა შემორჩენილი „ხიხვის“ უნიკალური ნარგაობა.

ვინაიდან ლიტერატურაში შედარებით სრულად არის წარმოდგენილი მასალები სადესერტო-ლიქიორული ტიპის ღვინის შესახებ, ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ყურძნის ჯიშ - „ხიხვისაგან“ კახური, ევროპული და ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოების ქიმიურ-ტექნოლოგიური მახასიათებლების შესწავლა-გამოკვლევაზე ორი მიკროზონის (რუისპირი, კარდენახი) მიხედვით, აგრეთვე, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინის დაყენების ახალი ტექნოლოგიური რეჟიმის შემუშავებაზე. ევროპული ტიპის ღვინის დაყენების ტექნოლოგიის დაზუსტება-დადგენაზე.

ზემოაღნიშნული მიზანდასახულობის რეალიზაცია შეუძლებელია ტრადიციული ტექნოლოგიების ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე, ამდენად, ზოგადად შევეხებით იმ ლიტერატურულ მასალებს, რომლებიც შეეხება კახური, ბუნებრივად ნახევრადტკბილი და ევროპული ტიპის

დვინოების დაყენების ტექნოლოგიურ თავისებურებებსა და
სამეცნიერო საწარმოო სიახლეებს. 

1.2.1. პახური ტიპის ღვინის დაყვანების ტექნოლოგიი, შიმიური და ორგანოლექტიკური დახასიათება

კახეთი, მევენახეობის და მეღვინეობის თვალსაზ-
რისით, ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ კუთხეს წარმოადგენს.
განსაკუთრებული ბუნებრივი პირობები, ვაზის ჯიშთა მრა-
ვალფეროვნება ხელს უწყობს ორიგინალური ტიპის ღვინოე-
ბის ჩამოყალიბებას. კახეთში საუკუნეთა მანძილზე შეიქმნა
და ჩამოყალიბდა ღვინის ტიპი, რომელიც მსოფლიოში ცნო-
ბილია კახური ტიპის ღვინის სახელწოდებით, იგი ხა-
სიათდება სრული სხეულით, ხავერდოვნებით, პარმონიული,
გემოთი და დამახასიათებელი ნაზი არომატით, ყოველივე ეს
მჭიდრო კავშირშია ამ ღვინის სამკურნალო და პრო-
ფილაქტიკურ თვისებებთან.

კახური ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინო მსოფლოდ
კახეთში დგება, განსაკუთრებით თელავის, ახმეტის და
გურჯაანის რაიონებში. რომლებიც თავის ხაისათით და ში-
ნაარსით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება.

კახური ტიპის ღვინის დაყენების წესი მეტად თავისე-
ბურია, რომელიც ჩექნი წინაპრების მიერ საუკუნეთა გან-
მავლობაში იხვეწებოდა და უმჯობესდებოდა. იგი ითვალის-
წინებს მტევნის მაგარ ნაწილებთან ერთად ყურძნის ტკბი-
ლის ალკოჰოლურ დუღილს. ყურძნის საღვინე ჯიშებიდან ამ



ტიპის თეთრი ლვინის დაყენებისათვის იყენებენ ძირითადად
რქაწითელს, ხიხვს და კახურ მწავნეს.

ეროვნული
გენერაცია

კახური ტიპის ლვინოები ნახსენებია უმტკლეს ის-
ტორიკოსთა ნაშრომებში [Ксенофент, Страбон, 1881], რომლე-
ბიც ადასტურებენ საქართველოში მეგენახეობის და
მეღვინეობის მაღალ დონეს და კულტურას. მთელ რიგ ავ-
ტორთა მიერ ისტორიულ თუ სპეციალურად მიძღვნილ ნაშ-
რომში საკმაოდ კარგადაა განხილული მათი დროის კახური
ლვინოების საერთო დახასიათება [Гудвин, 1808; Сипягин, 1828;
Ленц, 1845; Зеиферт, 1892; Пенцольд, 1892; Понятовский, 1893;
პეტრიაშვილი, 1895; Гоголь-Яновский, 1901; Ховренко, 1911;
Леонидзе, 1911; Егоров, 1926; ჯავახიშვილი, 1934 და სხვა].

კახური ლვინოების ქიმიურ ბუნებას იკვლევდნენ
[Саломон, 1885; Гозалов, 1898; Таиров, 1901; Иоанесеянцы, 1903;
Ховренко, 1909; Модебадзе, 1914; Меликишвили, 1930], რომელ-
თაც საკმაოდ დიდი მოცულობის თეორიული და პრაქტი-
კული მასალა დააგროვეს თავიანთი მრავალწიანი მუშაობის
შედეგად.

მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან ჩატარდა სა-
ზუმგლიანი კვლევა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა
ყურძნიდან ლვინის დამზადებისა და მოვლის ტექნოლოგიური
წესები, გაიზარდა სამარკო ლვინოების ასორტიმენტი და შე-
მუშავებული იქნა ორიგინალური ლვინოების დამზადების წე-
სები.

ლიტერატურაში ვხვდებით მონაცემებს კახური ტიპის
სუფრის ლვინოების გამოკვლევაზე, ყურძნის მტევნის შე-

მაღგენელ ნაწილთა მშრალი ფერმენტაციის საშუალებით კახური ღვინის დაყენების მეთოდზე, სხვადასხვა ჟაქტურების (დროის, ტენიანობის, ტემპერატურის) გაფართოების მიმდინარე ბიოქიმიურ ცვლილებათა შესწავლაზე ფერმენტულ პროცესებთან დაკავშირებით და სხვა.

ბერიძის [1950] მონაცემებით კახური ტიპის ღვინის ხარისხზე ყურძნის მტევნის შემაღენელ ცალკეულ ნაწილთა მოქმედების შესასწავლად ჩატარებული ცდების შედეგებიდან და ორგანოლეპტიკური ანალიზიდან ჩანს, რომ: კლერტთან ერთად დაყენებულ ღვინოებს ახასიათებს დია ჩაისფერი, სასიამოვნო გემო და სხეული. მთრიმლავ ნივთიერებათა რაოდენობა დუღილის პროცესში კლერტიდან გადადის ღვინოში და უმნიშვნელოდ იზრდება პოლიფენოლები. როგორც მისი დასკვნებიდან ჩანს შემოუსვლელ კლერტზე დაყენებულ ღვინოებს ემჩნევათ არასასიამოვნო მწვავე სიმუავის მწკლარტე გემო.

მრავალ ავტორთა [Стуруя, 1972; Margheri, versini, Sartori, inamai, 1980; Lamikan'ra, Carlik, 1987] მონაცემებით კახური ტიპის ღვინის ლირსებაში არსებითი როლი ყურძნის წიპრას უნდა მივაკუთვნოთ. იგი ღვინოს სძენს დამახასიათებელ ვანილის გემოს, ტიპობრივ ფერს, პარმონიულობასა და შინაარსს. წიპრაზე დაყენებულ ღვინოებში ტანინების რაოდენობა მატულობს მაშინ, როდესაც ჩენჩოზე დაყენებულ ღვინოებში პოლიფენლების ოდენობა დუღილის დასაწყისიდან დამთავრებამდე უცვლელი რჩება [დურმიშიძე, ხაჩიძე, 1985].




უურმნის მტევნის შემადგენელი ნაწილები თითოეული – ცალკეულად, ამა თუ იმ ხასიათის თვისებას სძენს ეროვნული ტიპის ღვინოს. მათი გამორიცხვა ღვინის დაყენების დროს სათანადო გავლენას აცდენს პროდუქციის დირსებაზე. ჭაჭაზე დაყენებულ ღვინის ნიმუშებში, როდესაც მონაშილეობს უურმნის მტევნის მთელი შეადგენელი ნაწილები, დუღილის პროცესში და შემდგომ ღვინის დგარგების სტადიაში იგი პროდუქტს სძენს მთლიანობას და კახური ტიპის ღვინისათვის დამახასიათებელ თვისებებს, ნიმუშში იგრძნობპამონიულობა და ღვინის შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთშერწყმა.

ალკოჰოლური დუღილის პროცესში მტევნის შემადგენელი ნაწილებიდან ხდება პოლიფენოლებისა და მთრიმლავ ნივთიერებათა მატება ღვინოში, რომელნიც ძირითად კლერტიდან და წიაშიდან გადმოდის [ბარდაველიძე, 2001] დუღილის პროცესში მაღალი ტემპერატურა ზრდის მთრიმლავ ნივთიერებათა ოდენობას, ამავე დროს ღვინოში ნაწილობრივ მცირდება სპირტის რაოდენობა მისი კლერტზე ადსორბციის გამო [ვალიკო, 1969; 1973].

უურმნის გადამუშავების პროცესი მნიშვნელოვნად მოქმედებს მისაღები ღვინის ხარისხზე, სხვადასხვა წესით უურმნის გადამუშავების პროცესში ტემპილის მტევნის მაგარ ნაწილებთან ხანრგმლივი კონტაქტის გამო იცლვება მთრიმლავ და ექსტრაქტულ ნივთიერებათა რაოდენობა [Хоситашвили, 1978]. უურმნის ძლიერი და ხანგრძლივი დაწესვა ზრდის ტემპილში მთრიმლავ და ექსტრაქტულ ნივ-

თიერებებს, რაც უფრო გავახანგრძლივებთ ამ პროცესს მიზ უფრო გავზრდით ექსტრაქტოვან და მთრიმლაშვილულებულ ბათა რაოდენობის ღვინოში. განსაკუთრებული მატერიალები უჭირავს ლიტერატურაში კახური ტიპის ღვინის ხარისხე ფერმენტირებული ჭაჭის გავლენის საკითხებს, რადგან კახური ტიპის ღვინის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მტევნის შემაღენელ ნაწილთა ფერმენტაციას, რის გამოც ფერმენტირებულ მასაში მიმდინარეობს ღრმა ქიმიური ცვლილებები, ძირითადად ექსტრაქტული კომპლექსისა, აქედან კი განსაკუთრებით მთრიმლავი ნივთიერებებისა. აღნიშნული საკითხის შესასწავლად პროფ. ბერიძემ [1950] და მისმა კოლეგებმა მწვანესა და რქაწითელის ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული კლერტი და ჩენჩი დასრისეს უჯრედების დაშლამდე და ცალ-ცალკე მოახდინეს მათი ფერმენტირება სპეციალურ შენობაში 24 საათის განმავლობაში 1829 და $28-30^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. შემდეგ ფერმენტირებულ მასას ათავსებდნენ ტკბილში და ალკოჰოლური დუღილი მიმდინარეობდა $20-22^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. მიღებული ღმს ქიმიური და ორგანოლეპტიკური შეფასებით ავტორი ასკვნის ტიპისათვის დამახასიათებელი არომატი. მთრიმლავ ნივთიერებათა რაოდენობა საკონტროლოსთან შედარებით მცირეა, ამ მომენტს ავტორი ხსნის იმით, რომ ფერმენტაციის შედეგად შემცირდა ტანიდების ხსნადობა. იმ შემთხვევაში როცა ფერმენტაცია მიმდინარეობდა 5-7 საათის განმავლობაში, შემცირდა როგორც შეფერვის ინტენსიურობა, აგრეთვე მისი



ექსტრაქტიც. კანი ფერმენტირდება 28-30 ფრადუსზე და იწვევს განიღების სათანადო შემცირებას, რაც გემოზუსტი მაღერის ტონებს. კანის ფერმენტაციისას $18-20^{\circ}\text{C}$ შემცირდა წყალში და ტუტეში ხსნადი პოლიფენოლებიც. ეს ცვლილებები არ შეიმჩნეოდა საკონტროლო დვინომასალაში. ყურძნის ტკბილში ფერმენტირებული კანის შეტანისას, (2-5 საათიანი ფერმენტაცია) იძლევა შეფერვის დიდ ინტენსივობას, ფერმენტაციის შემდგომი გახანგრძლივება კი ღვინის ფერს აბაცებს, რასაც ავტორი ხსნის მთრიმლავ ნივთიერებათა ძლიერი დაჟანგვით.

დაბჭილ ტემპერატურაზე ფერმენტაციის პროცესი
ნება მიმდინარეობს, რის შედეგადაც მზა ღვინის ხარისხი უმჯობესდება, მაგრამ აქ ავტორი ხედავს – მავნე მიკროორგანიზმების განვითარების საშიშროებას. ფერმენტირებულ კლერტზე დაყენებული ღვინის გემო ფერმენტაციის პირველ საათებში უმჯობესდება და თავის იდეალს აღწევს $4-5$ საათიანი ფერმენტაციისას, რომლის დროსაც ღვინო რბილი და ჰარმონიული, ხოლო ფერი ინტენსიური ხდება.

ექსტრაქტული ნივთიერებანი ჭაჭის ფერმენტაციის შედეგად მცირდება, რასაც ავტორი ხსნის მთრიმლავი ნივთიერებების ცილოვან ნივთიერებებთან შეერთებით ანუ მათი პოაგულაციით, რომელიც შემდეგ გამოილექება ღვინის ლექში.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ბერიძის მიერ დამუშავებულ იქნა კახური ტიპის ღვინის დაყენების ტექნოლოგიური წესი, რომელიც არსებული კლასიკური



ტექნოლოგიისაგან იმით განსხვავდება, რომ ყურძენი იჭყლიტება კლერტის მოცილებით. საწრეტიზო ტექნიკური თვითნაღენი და I ფრაქცია ერთიანდება. საკუთრივი დურდო იწნიხება, მიღებული მშრალი ჭაჭა დაქუცმაცებულ კლერტან ერთად თავსდება სპეციალურ ნაჩვრეტებთან დგამებში და $18-20^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე 4-5 საათის განმავლობაში წარმოებს ფერმენტაციის პროცესი, შემდეგ ფერმენტირებული ჭაჭა ნაწილდება მთლიანად ყურძნის ტკბილში, სადაც უმატებენ საფუვრის წმინდა კულტურას და აწარმოებენ ალკოჰოლურ დუღილს, დაღურებულ ღვინოს მარტის პირველ რიცხვებამდე აჩერებენ ჭაჭა [Беридзе, 1962].

კახური წესით ღვინის დაყენება მეტად შრომატევადია, მოითხოვს ბევრ მუშახელს და დიდ დროს, რასაც თანამე-დროვე წარმოება ვერ უგუება, ამიტომ მკვლევართა დიდი ნაწილი მუშაობს კახური ღვინის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციით და ავტომატიზაციით შეც-ლაზე. კერძოდ, მამა-შვილმა გიაშვილებმა [1977, 1981] შეიმუშავეს კახური ტიპის ღვინის დაყენების წესი, რომელიც ითვალისწინებს ჭაჭის წინასწარ ფერმენტაციას და სხვა პროცესების მექანიზაციას ალკოჰოლური დუღილის ნაკადურ ხაზთან ერთად.

კახური ღვინის გადამარტივებულ მეთოდს გვთა-ვაზობს მარჯანიშვილი [1983], რომელიც ითვალისწინებს ყურძნის დაჭყლებას კლერტის მოცილებით, მის დაქუცმაცებას და განსაზღვრული რაოდენობით დამატებას ქვევრში. გარკვეული რაოდენობის დაქუცმაცებული კლერტის

დამატება დურდოზე უზრუნველოფს ღვინომასალაში მთრიმ-
ლავი, ექსტრაქტული, საღებავი და სხვა ღვინის საჭიროებული
მოქმედი კომპონენტების რეგულირებას.

პიპლირიტი

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ეს მეთოდი იძლევა საშუ-
ალებას მექანიზებული წესით აწარმოონ კახური ტიპის
ღვინის დამზადების შრომატევადი პროცესები (კლერტის
ჩატვირთვა ქვევრში, ქუდის ჩაზელვა, დაღუდებული დურდოს
ამოდება ქვევრიდან). ეს მოწყობილობა ანუ კლერტის დამ-
ქუცმაცებული მაგრდება საჭყლებ დანადგარზე.

კახური ღვინის წარმოებაზე დიდი მოცულობის მი-
წისხედა რეზერვუარში რეკომენდაციას იძლევა ჯახუა [1979].
რეზერვუარი შიგნიდან მოპირკეთებულია კერამიკული
ფილებით, აქვს კონუსური ძირი, შიგნით გარკვეულ სიმაღ-
ლეზე დატენილი აქვს ბადე დურდოს სითხისაგან გამოსაყო-
ფად. რეზერვუარი აღჭურვილია დამრევით და ობოლცვლელი
პერანგით, ჭურჭელს საღუდარ არეს უტოვებენ საერთო
მოცულობის 1/3-ს ალკოჰოლური დუღილი მიმდინარეობს 25-
27 გრადუსზე პერიოდული დამრევით. მბაფრი დუღილის
დამთავრების შემდეგ რეზერვუარს შეავსებენ და ხურავენ
პერმენტიულად 1 თვის განმავლობაში, შემდეგ ტუმბოთი
ღვინოს გადაიღებენ, რეზერვუარის ძირიდან გამოიღებენ
ჭაჭას, რომელსაც გამოწნებავენ, ღვინომასალებს გააერთი-
ანებენ და გადასცემენ დასამუშავებლად. ახვლედიანის [1973]
მიერ შემუშავებულია კახური ტიპის ღვინის დასამზადებლად
დანადგარი დამრევით და გარე პერანგით, რომელიც
შესაძლებლობას იძლევა დურდოს დუღილის დროს მექანი-



კურად დამრევის და პერანგის მეშვეობით ვარეგულიროვა
ტემპერატურა. ამ დანადგარში გათვალისწინებული ციფრები
წინასწარი ფერმენტაცია, ექსტრაქციის პროცესში მოვალეობა
ფიკაციისათვის ჰაჭა და ნახევრადდადუღებული მასალა
მოძრაობს ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით.

კახური ტიპის ღვინის ღირსებები – წარმოქმნილი
ნაზი თაიგული, ლამაზი მუქი ჩაისფერი შეფერილობა,
სპეციფიკური პარმონიული ხილის გემო და არომატი, განპი-
რობებულია ბიოქიმიური რეაქციებს მთელი კომპლექსით,
რომელიც მიმდინარეობს ღვინის დამზადების ყველა სტადი-
აზე და რომლებიც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ახსნილი.
ვერ მოხერხდა გამოვლინებულიყო კონკრეტულად რომელი
ბიოქიმიური გარდაქმნებით განისაზღვრება კახური ტიპის
ღვინოში განსხვავება გემურ და არომატულ ღირსებებს შო-
რის. ბოლომდე არ არის ახსნილი ღვინის ფორმირების, დამ-
წიფების და დაგარგების ძირითადი მექანიზმი.

ბახის ჟანგვთი თეორიის მიხედვით ნელი დაჟანგვის
პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ღვინის ფორმირების,
დამწიფება დაგარგების და დაძველების დროს წარ-
მოდგენილია შემდეგი სახით: ცნობილია რომ ღვინის ფორ-
მირების სხვადასხვა სტადიაზე ჟანგბადის მონაწილეობა
არათანაბარია. პირველ პერიოდში, ე. ი. ღვინის ფორმირებისა
და მომწიფების დროს პაერთან შეხება სასურველია თუმცა
მოლეკულური ჟანგბადი უშუალოდ არ უერთდება ღვინის
ელემენტებს, როგორც ოპარინი 1964, აღნიშნავს “მოლეკუ-
ლური ჟანგბადით დაჟანგვა წარმოადგენს უზარმაზარი ენ-



ერგიის აქტივიზაციის რეაქციას". მანსკაიას 1964, მიმოხილულის თანახმად: ენერგია, რომელიც აუცილებელია უაგზაფრის აქტივიზაციისათვის, ნელი დაუანგვის დროს არ მიიღება გარედან, არამედ მიეწოდება თვით დაუანგული ნივთიერებებიდან. ამიტომ ჩვეულებრივ ტემპერატურულ პირობებში დვინოში მოლექულური ჟანგბადით შეიძლება დაიუანგოს მხოლოდ ქიმიურად ნაკლებადდატვირთული თვითდამუანგავი ნივთიერებები.

სისაკიანის, მანსკაიას, დურმიშიძის და სხვათა შრომებით ნაჩვენებია, რომ ყურძენში და ტკბილში ფუნქციონირებს რამოდენიმე დამუანგავი ფერმენტული სისტემა, რომელთაგან მნიშვნელოვანია პოლიფენოლოქსიდაზა, პეროქსიდაზა, კ. ი. ფერმენტები რომლებიც ჟანგავენ მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, რადგან მზა დვინოში ფერმენტების აქტიურობა ფრიად უმნიშვნელოა, ამიტომაც დვინის დაძველება ძალიან ნელა მიმდინარეობს, წარმოიშვა აუცილებლობა შესწავლილიყო ფერმენტაციული ჟანგვითი პროცესები, და ამვე დროს წარმოიშვა აზრი გამოეცადათ დამუანგავი ფერმენტების სუფთა პრეპარატის მოქმედება, კერძოდ პეროქსიდაზა, სხვადასხვა ტიპის დვინის დასაჭველებლად. ცდის შედეგები აღმოჩნდა საუკეთესო ფერმენტული პრეპარატით დამუშავებულ დვინოებში შეიმჩნეოდა თაიგულის არასასიამოვნო მმაფრი ტონების, დაძველების დროს კი ნედლი დვინის გემოს გაქრობა.

ამ პროცესთან დაკავშირებით ოპარინი აღნიშნავს "დვინოში მაქისმალური რაოდენობის პრეპარატ პეროქსი-



დაზის დამატება მნიშვნელოვნად აჩქარებს უანგვით მოცემულ ესს, რაც განაპირობებს ღვინის ადრეულ დამუშავების დროს ასევე მიმდინარეობს არსებითი ცელილებები რიგი არომატული ნივთიერებებისა, კერძოდ რთული ეთერების რაოდენობრივი ზრდა. აქედან გამომდინარე იცლვება ღვინის ბუკეტი, იქმნება გემოს ჰარმონიულობა, იცვლება შეფერილობა და სძენს მისთვის დამახასიათებელ ტონს.

ცნობილია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა, კახური ტიპის ღვინის ფასეული ხარისხის შექმნაში – (სასიამოვნო გემო და არომატი) ენიჭება ტანიდების შემცველ ფერმენტაციულ დაუანგვას.

კახური ტიპის ღვინის შემადგენელ ქიმიურ კომპონენტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფენოლურ ნაერთებს, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ღვინის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების ფორმირებაში. ყურძენში არსებული ფენოლური ნაერთების ნაწილი ალკოჰოლური დუღილის პროცესში განიცდის გარკვეულ გარდაქმნებს და ამ სახით გვხვდება ღვინოში, ნაწილი ბუნებრივი სახით გადადის ღვინის შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, ღვინის ფენოლური ნაერთების წარმომქმნელი ძირითადი წყაროა თვით ყურძენი.

ფენოლურ ნაერთებს ვაზის ყველა ნაწილი შეიცავს. მცენარეებში ფენოლური ნაერთები გვხვდება მონომერების, პოლიმერებისა და ოლიგომერების სახით. მონომერული ფენოლური ნაერთების წარმომადგენელ ოქსიდენზონის მჟავებს ვაზის თითქმის ყველა ნაწილი სეიცავს. ამასთან,



ვაზის წითელი ჯიშები ოქსიბენზომჟავების მეტი შემცველობით ხასიათდება, ვიდრე თეთრი. ოქსიბენზომჟავები, კურძოდ კი გალის მჟავა, ბმული სახით პირველად იქნა იდენტიფიცირებული სხვადასხვა ჯიშის ყურძნიდან დურმიშიძის მიერ (1950), საფერავის ჯიშის ყურძნის წიპრის, მარცვლის, კანის, კლერტის ფენოლკარბონული მჟავების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მათგან ოქსიბენზომჟავების შედარებით მეტი შემცველობით გამოირჩეოდა წიპრა, შემდეგ კანი და კლერტი. როგორი ეთერების სახით წიპრიდან იდენტიფიცირებულია: პროტოკატეხინის, გალის, ვანილინის მჟავები, მარცვლის კანიდან – ვანილინის და იასამნის მჟავები, კლერტიდან – პროტოკატეხინის და ვანილინის მჟავები. თავისუფალ ოქსიბენზოისმჟავებს, კერძოდ, ვანილინის და იასამნის მჟავებს შეიცავდა მარცვლის კანი, პროტოკატეხის და ვანილინის მჟავებს წიპრა.

C₆-C₃ რიგი ფენოლური ნაერთებიდან ვაზი შეიცავს ოქსიდარიჩინის ნჯავებს: პ-ოქსიდარიჩინის მჯავას, ყავის მჟვას და ფერულის მჟვას. ტექნიკური სიმწიფის პერიოდში გაზურ-სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით რქაწითელის ჯიშის ყურძნის კლერტში აღმოჩნილია: დარიჩინის, პროტოკატეხის, გენტიზინის, სინაპის მჟავები, კანში – დარიჩინის, პროტოკატეხის, კუმარის, შიკიმის და სინაპის მჟავები, ხოლო წიპრაში – დარიჩინის, პროტოკატეხის, ფერულის და სინაპის მჟავები (გიაშვილი, 1979).


ყურძნის სხვადასხვა ნაწილებში არსებული როგორმერულ და პოლიომერულ ფენოლურ ნექსტებზე უძველესი კუთვნება ტანინი, ლიგნინი.

ყურძნის და ლვინის მთრიმლავი ნივთიერებები ანუ ტანინი წარმადგენს კონდისირებულ კატეხინებსა და ლეიკოანტოციანიდინებს. როგორც რიბერო-გაიონის გამოკვლევები გვიჩვენებს, ყურძნისა და ლვინის ტანინი წარმოქმნება 2-დან 10-მდე მოლეკულა კატეხინებისა და ლეიკოანტოციანიდინების კონდენსაციის შედეგად (რიბერო-გაიონი, 1959). მისივე მონაცემებით მტევანში კონდენსირებულ მთრიმლავ ნივთიერებებს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს წიპტა.

დურმიშიძის მონაცემების მიხედვით ტანინის რაოდენობა მშრალ წონაზე გაანგარიშებით ყურძნის სხვადასხვა ნაწილში შემდეგ ფარგლებში მერყეობს: რბილობში – 0,3-1,8 %, კანში – 2,6-10 %, კლერტში – 8,2-13,5 %, წიპტაში – 6,0-14,0 % (დურმიშიძე, 1955). ყურძნის ტანინი თრგუნავს ბაქტერიების მოქმედებას და მისი კონცენტრაციის 0,2-0,4 % ფარგლებში ვერ ცვლის საფულების ცხოველმყოფელობას. მას აქვს ვიტამინური თვისებები (დურმიშიძე, 1951).

კატექინების რაოდენობა გარკვეულ ფარგლებში მერყეობს განსაზღვრული ჯიშის ვაზის ერთი და იგივე ორგანოშიც. განსაკუთრებით მდიდარია კატექინებით ყურძნის კანი, რბილობი და წიპტა (დურმიშიძე, 1955).

გელაშვილმა და ჯმუხაძემ (1970) გამოიკვლიერ კატექინების რაოდენობრივი შემცველობა რქაწიგელის



ჯიშის უურძნის კლერტში, კანსა და წიპრაში. სრული სიზ
წიფის პერიოდში. მათი მონაცემების მიხედვით, გრევნის
ნაწილები კატექინების თვისობრივი შედგენილობითაც
განსხვავდება. თესლში სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით
სიმწიფის პერიოდში აღნიშნული ავტორების მიერ არ იყო
ნაპოვნი (-) გალოკატექინი.

კატექინები, გალოკატექინები, ლეიკოანტოციანიდინები
და უანგვისას კონდინირებას განიცდიან და დასაბამს
აძლევენ ისეთ ნივთიერებების წარმოქმნას, რომლებიც
განინების თვისებებით ხასიათდებიან.

ბეიტ-სმიტის და სვეინის (1956), ბეიტ-სმიტისა და
ლერნერის (1954), ბეიტ-სმიტის და რიბერო-გაიონის (1959),
სტურუას და სხვების (1973), სოფრომაძის (1970), ნანიტაშ-
ვილის (1976) გამოკვლევების შედეგად ვიტის ვინიფრედ-ს
ჯიშის უურძნის კანიდან და წიპრიდან გამოყოფილ იქნა
ლეიკოანტოციანები. მასკალესა და ხუანოს (1965) მიერ ვი-
ტის ვინიფრედ-ს 5 სახეობის შესწავლისას კანიდან გამოყო-
ფილ იქნა ლეიკოანტოციანების დია ყავისფერი ამორფული
პრეპარატი.

ფლავონოლების, ფლავონების და ანტოციანების ან-
ტიოქსიდანტური აქტივობანი დაგინდა ლიპოპროტეინების
ოქსიდაციის შემცირებით. კვერცეტინი, კემპფეროლი,
მირიცეტინი, აპიგენინი და ლუთეოლინი ადამიანის ორ-
განიზმს იცავენ ტრომბისაგან და ქოლესტერინის და მაღალი
წნევის პირობებშიც კი ამცირებენ გულის დაავადებების
რისკს (ბოიმი და სხვ. 1998; პაიეკი და სხვ. 1997; ტაკაშამა და



სხვ. 1985). ფაუკონის და სხვ. მიერ (1997) გამოვლინდა წითელი ღვინოებიდან გამოყოფილი ანტოციანების ატექინების ანტიოქსიდანტური აქტივობა მიკროსომებში Fe^{2+} -ით კატალიზირებული პეროქსიდაციისა და Cu^{2+} -ით ინდუცირებული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების პეროქსიდაციის შემცირებაში. დადგენილია, რომ წითელი ღვინის შემაღგენელი ფენოლური ნაერთები, მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მატარებელია ღვინის 1000-ჯერ განზავების შემთხვევასიც კი. ამ პირობებში ეს ფენოლური ნაერთები დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ოქსიდაციის უფრო მნიშვნელოვანი ინპიბიტორია, ვიდრე ა ტოკოფეროლი (სერაფინი და სხვ., 1998). ჟანგბადის მოქმედება ქსოვილზე იწვევს რიგ დაავადებებს. ამ შემთხვევაში კვერცეტინი და სილიბინინი ეფექტურად იცავენ ქსოვილის და უჯრედის თავისუფალი რადიკალებისა და სხვ. შუალედური დამჟანგბების შებოჭვის ხარჯზე (გროოტი და სხვ. 1998). საფერავიდან დამზადებული ქართული წითელი ღვინის ანტოციანების pH-ზე დამოკიდებული ფორმების ანტიოქსიდანტური აქტივობა დადგინდა “ინ ვიტრ” ცდებში ადამიანის სისხლში მიმდინარე ოქსიდაციის ინპიბირების ხარისხის სახით (ბექუაშვილი, ჩხარტიშვილი და სხვ. 2005).

მესხის (2006) მიერ შესწავლილი იქნა კახეთის სხვადასხვა მიკრორაიონის რქაწითელის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული კახური ტიპის ღვინოების ანტიოქსიდანტური აქტივობა და მისი ფენოლური ნაერთები. კახური ტიპის ღვი-

ნოების ანტიოქსიდანტური აქტივობა 100-178%-ის გალში მერყეობს.

შემუშავებული იქნა სტილბენებით გამდიდრებული ალკოჰოლური სასმელის დამზადების ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ითვალისწინებს თვითდაწმენდილ კახური ტიპის ღვინომასალაში სტილბენშემცველი კონცენტრატის 7% დამატებას. შემუშავებული სქემით კახური ტიპის ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობა 26-50% გაიზარდა, რის შედეგადაც ამაღლდა მისი სამკურნალო კვებითი ღირებულება. ამ ტექნოლოგიით დამზადებული ალკოჰოლური სასმელის ანტიოქსიდანტური აქტივობა “ინ ვიტრო” პირობებში 126-228% ინტერვალში მერყეობს.

6. ღვალაძის [1979] მონაცემებით კახური ტიპის ღვინის თერმულ დამუშავებამ ინერტული აირის არეში ტემპერატურული რეჟიმის $40-50^{\circ}\text{C}$ და $60-70^{\circ}\text{C}$ -ის ჩვეულებრივ პირობებში გვიჩვენა, რომ მათი ორგანოლგატიკური თვისებუბის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიმჩნევა 48°C -ზე 48 -სთანი თბური დამუშავების შემდეგ, ხოლო სიცივით დამუშავებამ -5°C -ზე 7 დღე-დამის განმავლობაში ინერტული აირის არეში მიიღება საუკეთესო შედეგი სიცივით დამუშავებულ სხვა ექსპოზიციებთან შედარებით. კომბინირებული (სიცივით და სითბოს) მეთოდის გამოყენების დროს ინერტული აირის არეში და ჩვეულებრივ პირობებში საუკეთესო ვარიანტი გამოიკვეთა, როდესაც ხდებოდა ჯერ სითბოთი დამუშავება $+60^{\circ}\text{C}$ -ზე 25 სთ-ის განმავლობაში, ხოლო შემდეგ გაციება -5°C -ზე 7 დღე-დამის განმავლობაში: ყველა



სახის დამუშავების დროს საუკეთესო შედეგები მიიღება ინ-
ერტული აირის არეში დამუშავების ვარიანტებში რცხული

მ. ორმოცაძის [2006] მიერ შემუშავებულ მასალაში აღ-
თეთრი და კახური ტიპის ღვინოების დამზადების ტექნოლო-
გიური ღვინის საფუარის ლაზერული აქტივაციის საფუძ-
ველზე. მან შეისწავლა ლაზერული ზემოქმედების გავლენა
ღვინის საფუარის *Sacharoraramyces Vini* რქაწიოელი 61, კახური
42 აღმოჩნდა. ფიზიოლოგიურ, მორფოლოგიურ და ბიო-
ქიმიურ მაჩვენელებზე ნაჩვენებია რომ საფუვრის უჯრე-
დებზე ლაზერული ზემოქმედება (2-5 მგტ/სმ² ექსპოზიციით)
ასტიმულირებს უჯრედების გამრავლების პროცესს. ააქტი-
ურებს სპოროგენეზს, ინტენსიფიცირებს დუღილის პროცესს,
ბიოსინთეზის პროდუქტებს, საფუვრის ცხოველმოქმედებას
და მათ ფერმენტულ სისტემებს.

ავტორმა სუფრის ღ/მს მისაღებად შეიმუშავა საფუ-
ვრის სუსპენზიაზე ლაზერული ზემოქმედების ოპტიმალური
რეჟიმები. დაადგინა რომ, ღვინის საფუვრის აქტივაცია (2,9
მგტ/სმ² დროს) მაღულარი გარემოს 1 დგ²-ზე 5-7 წუთის გან-
მავლობაში არსებითად ინტესიფიცირებს ყურძნის ტკბილის
ალკოჰოლური დუღილის პროცესს მისი არსებითი დაჩქარე-
ბით, ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობის მომატე-
ბით, რომლებიც დაღებითად მოქმედებენ ღვინომასალის
ხარისხზე.

კახური ტიპის ღვინის გემურ თვისებებზე განსა-
კუთრებულ გავლენას ახდენს ყურძნის კანში არსებული
ეთერზეთები, არომატული კომპონენტები.



ღვინის არომატი წარმოადგენს ახალგაზრდა ღვინის უკრაინული სურნელოვანი ნივთიერებების ერთობლიობას თაგგული წარმოიქმნება დაძველების პერიოდში და ვითარდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. განასხვავებენ ორი სახის არომატს (რიბერო-გაიონი, 1979) პირველადი არომატი – ყურძნის ჯიშური არომატი, მეორადი არომატი – ღვინის ის ინტენსიური სუნია, რომელიც წარმოიქმნება საფუვრების მოქმედებით. ეს არომატი იხვეწება და მდიდრდება დუღილის დასრულების შემდეგ, რომელიც თანდათან სუსტდება და რამდენიმე წლის შემდეგ ქრება უთმობს რა ადგილს თაიგულს.

თაიგული – რთული ნაზი არომატის ნარევია, რომელიც ვითარდება ღვინის დაძველების დროს: იგი შედეგია პირველადი და მეორედი არომატული კომპონენტების რთული ბიოქიმიური გარდაქმნებისა.

ყურძნის მარცვლის არომატი განპირობებულია ეთერზეთებით. ნივთიერებები, რომლებიც შედიან მარცვლის ეთერზეთებში აქვთ დამახასიათებელი სუნი და ძირითადად წარმოადგენენ ნივთიერებათა კლასებს: სპირტებს, ცხიმოვან მჟავებს, რთულ ეთერებს, კარბონულ ნაერთებს, ტერპენებს და ნახშირწყლებს. ყურძნის გადამუშავების დროს ისინი გადადიან ტაბილში, შემდეგ ღვინოში და მონაწილეობას იღებენ ღვინის თაიგულის ჩამოყალიბებაში.

სუფრის ღვინოების და ზოგიერთი ჯიშის ყურძნის ეთერზეთების შესწავლამ აჩვენა, რომ იგი შეიცავს ტერპენებს, ალიფატურ არომატულ სპირტებს – ბენზოლის და 2-

უენილეთილის და მათ ეთერებს, როგორც ეტერებს (როდოპულო, 1980). ეთანოლს, იზოპუთანოლს, პეტანოლს-2, იზოპეტანოლს, პეტანოლ-2, ოქტანოლსა და სხვა მჟავებს: ძმარმჟავაალდეპილს, ძმრის, ერბოს, ვალერიანის, ლაურინის მჟავებს და სხვა (დათუნაშვილი, 1959; როდოპულო, 1980.).

ყურძნის მარცვალში ტერპენების, ისევე როგორც სხვა არომატული ნივთიერებების დაგროვება, დამოკიდებულია ყურძნის სიმწიფეზე. დამწიფების პროცესში შაქრის დაგროვებასთან ერთად ხდება არომატული ნივთიერებების ზრდა, განსაკუთრებით ნაკლებად აქროლადის, რომლებიც ყურძენში იმყოფებიან უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ განაპირობებენ სხვადასხვა ჯიშის ყურძნის არომატს.

არომატული ნივთიერებების მაქსიმუმის დაგროვება როგორც მარცვალში ისე ტკბილში სხვადასხვა ჯიშის ყურძენში მიიღწევა სხვადასხვა სიმწიფის პერიოდში. მაგ., დაჩამიჩებულ (შემჭკნარ) ყურძენში, ისევე როგორც მისგან დამზადებულ წვენში, არომატული ნივთიერებების რაოდენობა ეცემა (დათუნაშვილი, 1957).

თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის გამოყენებით ასევე შესწავლილია ტერპენული ნაერთების შემცველობა ყურძნის მარცვლის კანში, რბილობსა და წიპტაში. ცდებმა აჩვენა, რომ მარცვლის სხვადასხვა ნაწილებში მიღებულ ექსტრაქტებში ნაპოვნია შემდეგი ტერპენული ნაერთები: გერანიოლი, ლინალოლი, ბ-იონონი და ცინეოლოლი (მჯოიანი და თანამ. 1971).



ლვინის მქროლავი კომპონენტების შემადგენლობაზე გავლენას ახდენს ყურძნის ტკბილის მიღების განვითარება, დაქუცმაცების და დაწესების მეთოდები. პირველი ფრაქცია-დან მიღებული ლვინო შეიცავს ეთერების ყველაზე მეტ რაოდენობას (10 მგ/ლ) ხოლო მეორე და მესამე ფრაქციიდან მიღებული ლვინოები კი შეიცავს III ფრაქციიდან მიღებული ლვინო, მაგრამ ამავე დროს შეიმჩნევა არასასიამოვნო სუნის მქონე იზოერბოსმჟავის, მეთონინის და 2-მეთილ-თიო-1პროპანოლის რაოდენობა.

დურდოს სხვადასხვა მეთოდებით დაწესების შედეგად მიღებული ტკბილის გამოკვლევით დადგენილია, რომ არო-მატული ნივთიერებების, ტერპენული სპირტების და ტერპენული ჟანგეულების რაოდენობა ნაწეს ფრაქციებში იზ-რდება წნევის მატებასთან ერთად. ამ ნაერთების მაქსი-მალური რაოდენობა აღინიშნება ცილინდრული წნევის გა-მოყენებით მიღებულ ლვინოებში (კინძერი და შრაიერი, 1980) გამოწევების დროს ხდება ტკბილის გამდიდრება C₆ სპირტებით დასაწყისიდან ბოლოსაკენ. ასეთი წესით მიღებული ტკბილი 3-ჯერ უფრო მდიდარია აღნიშნული ნაერთებით, თვითნადენ ტკბილთან შედარებით.

ტერპენული ნაერთების წარმოქმნა დამოკიდებულია გამოყენებული საფუვრების რასებზე და იცვლება დღეების მიხედვით, როგორც ხარისხობრივად ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით.

ლვინის მქროლავი კომპონენტების შემცველობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ვაშლ-რძემჟავა დუღილის ნორ-

მალურად ჩატარება (მუნიციპალიტეტი და ბოტტი, 1979; შინოხაზა და ვატანაბე, 1982).

ურთვევული

დუღილის დასრულების შემდეგ დვინაში ჩამოაწეული ბული არომატულ ნივთიერებათა კომპლექსი სხვადასხა ტექნოლოგიური პროცესების ზეგავლენით განიცდის, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ცვლილებებს: ამ დროს მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების სიღრმე და მიმართულება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ დამუშავების პირობები: ჟანგბადის მიწოდების რეჟიმი, დავარგების სანგრძლივობა და სხვა.

ბოთლში ჩამოსხმული და რამოდენიმე წლით დაძველებული დვინის ანალიზი ტერპენული ნაერთების და ეთერების შემცველობაზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ დვინის რამდენიმე წლით შენახვის შემდეგ წარმოქმნილი ისეთი ნივთიერებების როგორიცაა მაგ., აცეტილფურანის, ოქსიდეთილფურანის (პასუხისმგებელი კარამელიზაციის ტონის), ლინალოვლის ჟანგეულები და ტრიმეთილვინილტეტრაპიდროპირანის რაოდენობის ზრდით შეიძლება დადგინდეს დვინის შენახვის ვადები (რაპი, 1987).

ი. შათირიშვილის მიურ (1986, 1988, 1988^ა, 1990) გაზურ-სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით შესწავლილი იქნა სხვადასხვა ქართული დვინოების: წინანდლის, ახმეტის, მუკუზნის, ასევე საშამპანურე დვინომასასალების არმოატწარ-მომქმნელი კომპონენტები, რის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა 76 ნივთიერება. მათგან 19-რთული ეთერებები, 5-ტერპენი,



26-ნახშირწყალბადი და 5 – სხვა ნივთიერება. შესწავლით
ღვინოების იდენტიფიცირებული ნივთიერებების უძურებელი
რაოდენობა მოდის რთულ ეთერებზე. უმაღლეს სპირტებზე
და ნახშირწყლებზე, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ
ღვინის არომატის საფუძველს.

ო. გოცირიძემ [1990] შეისწავლა ვაზის ჯიშ
მუსკატური რქაწითელის ყურძნის ტკბილისა და მისგან დაყ-
ენებული ღვინოების არომატწარმომქმნელი კომპონენტები
გაზურ სითხეური ქრომატოგრაფიის მეთოდით. იდენტიფიცი-
რებულია 22 ტერპენიდი და ცხიმოვან მუავათა რთული
ეტერები, სპირტები და ნახშირწყლები. დადგენილია ტერპ-
ეული სპირტების: ლინალოლი, გერანიოლი, გვაიაკოლის,
ა-ტერპენოლის, ტერპინენ 4, ევგენოლის, ნეროლის, ციტრო-
ნელოლის და ფარნეთოლის საერთო რაოდენობა ყურძნი
ტკბილში აღწევს $45,0$ მგ/დმ³, ხოლო ღვინომასალაში $17,0$
მგ/დმ³. ლინალოლის რაოდენობა შეადგენს 50%-ს –
სპირტების საერთო ჯამური რაოდენობიდან.

1.2.2. სუფრის თეთრი ეპროპული ფიპის ღვინის ტექნიკი

სუფრის თეთრი ეპროპული ღვინის დაყენებისათვის
ყურძნის კრეფა წარმოებს 18-20%-შაქრიანობისა და 7,0-75
ტიტრული მუავიანობის დროს. ყურძნის კრეფის დროს
დააგადებულ და დაზიანებულ მტკვნებს ცალკე არჩევენ და

ატარებენ ყურძნის საჭყლებ-კლერტგამცლელში და დუროფოს
კალათიან წესებში წესენ.



ესოზეული

სამარკო ღვინოების დასამზადებლად მისამართის
თვითნადენ და პირველ ნაწეს წვენს, დანარჩენ ფრქაციებს
კი მშრალი, ორდინარული ღვინოების დასამზადებლად.
ტკბილი გადააქვთ დასაწმენდ რეზერვუარებში და ტკბილის
ტემპერატურის მიხედვით ასულფიტირებენ შემდეგი
ანგარიშით: 1 ლიტრზე 100-150 მგ გოგირდმჟავა.

ალკოჰოლური დუღილის დროს აკვირდებიან
დუღილის მიმდინარეობას ტექნოლოგიური კონტროლის
ინსტრუქციის შესაბამისად. ტკბილის გადმოღვრის თავიდან
აცილების მიზნით კასრებს ბოლომდე არ ავსებენ და მისი
მოცულობის 10-15% ცარიელს ტოვებენ. ამასთან, ამ
პროცენტის ოდენობას განსაზღვრავს დუღილის პირობები.
დუღილის დროს კასრებს ხურავენ საღუდარი შპუნტებით.

ნელი დუღილის დროს და დუღილის დამთავრების
შემდეგ კასრებს თანდათან ავსებენ ღვინით და უკეთებენ
შპუნტს. დუღილის დამთავრების შემდეგ კასრების შევსება
ხდება კვირაში ორჯერ.

12.3. ნახევრად ტკბილი თეთრი ღვინოების ტექნოლოგია

თეთრი ნახევრად ტკბილი ღვინის დასამზადებლად
ყურძენს კრეფენ 22%-ზე მეტი შაქრიანობის და 6,0
ტიტრული მჟავიანობის დროს. რაც უფრო მაღალია ყურძნის



შაქრიანობა, მით უფრო მეტია მიღებული დვინის მაკონსერვებელი ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის მდგრადობასა და თვისებებს.

ცხელ ამინდში ყურძნის მოკრეფა რეკომენდირებულია არაა. მარანში მიტანილი ყურძენი დაუზიანებელი უნდა იყოს.

ყურძენს ატარებენ საჭყლებ-კლერტგამცლელში. დურდოს გამოწენებენ კალათიან წნეხებში, თვითნადენი და პირველი გამონაწენები გადააქვთ დასაწმენდ რეზერვუარებში. ტკბილს ატარებენ თბომცვლელში $10\text{-}12^0$ -მდე აცივებენ და ამ ტემპერატურაზე 16-20 საათის განმავლობაში აყოვნებენ.

ფლასკის შევსების შემდეგ ხდება ტკბილის სულფატაცია იმ ანგარიშით, რომ 1 ლიტრ ყურძნის წვენში იყოს 150-200 მგ გოგირდოვანი ანჰიდრიდი.

ტკბილის სიცივით დამუშავება იწვევს დვინომუავა მარილების, ცილოვანი და პექტინოვანი ნივთიერებებისა და შეტივნარებული ნაწილაკების დალუქვას.

ლექიდან მოხსნის შემდეგ ტკბილს დაადუღებენ. სასურველია დუღილის დროს ტემპერატურა 25°C -ს არ აღემატებოდეს.

ალკოჰოლური დუღილი წარმოებს საფურის წმინდა პულტურით რომელიც ფიზიოლოგიურად შეგუებულია შენელებულ დუღილს, რაც საშუალებას გვაძლევს სასურველი კონდიციის მიღწევისთანავე შევწყვიტოთ დუღილი.

როცა დუღილის შედეგად შაქრიანობა 5-7%-ს მიაღწევს მოდულარ ტკბილს წინასწარი დაწმენდისა და საფურების მიკროფლორის მოცილების მიზნით ატარებენ ფილ-

ტრში. გაწმენდილ ტკბილს ატარებენ თბომცვლელში და დუღილის შეჩერების მიზნით 3⁰-მდე აცივებენ. ეს შედეგები ნომასალას ათავსებენ სამაცივრო საკანში, სადაც 12 ტკბი განმავლობაში მინუს 2-3⁰C ტემპერატურაზე აყოვნებენ. გაცივების შედეგად სრულიად წყდება დუღილი და ხდება დვინომქავა მარილების, ცილოვან და პექტინოვან ნივთიერებათა დალექვა, რის შედეგადაც დვინო გამძლე ხდება. დვინის შემდგომი შენახვა ხდება სამაცივრო საკანში მინუს 1-2⁰C ტემპერატურაზე, ყოველ 10 დღეში ერთხელ ხდება დვინის შევსება. სამ ოვეში ერთხელ ხდება დვინის გადაღება. ბოთლში დვინის ჩამოსხმა ხდება ფილტრით.

ხიხვისაგან სხვადასხა ტიპის დვინოების დაყენების საკითხის შესწავლა დაიწყო 1954 წელს.

ამასთან დაკავშირებით მეთოდიკით გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა:

1. ხიხვის ყურძნიდან სხვადასხვა ტიპის დვინოების დაფენება და ჯიშის ტექნოლოგიური დახასიათება
2. მაღალხარისხოვანი ნედლეულის მომცემ მიკრორაიონების გამოვლინება
3. დვინის ტიპებთან დაკავშირებით შესაფერისი მიკრორაიონების გამოყოფა
4. ხიხვის დვინომასალის როლის შესწავლა კუპაჟში, სხვა ჯიშთა დვინომასალებთან შედარებით.
5. კახეთის რაიონებში ჯიშის გადაადგილების საორიენტაციო მონახაზების გამოცემა.



ცდებში მონაწილეობდა კარდენახის, ვაზისუბნის, წინანდლის, კურდლელაურის, ნაფარეულისა და რუბინპეტრის მიკრორაიონებიდან მიღებული ხიხვის ყურძნისაგან დაჭენებული დვინომასალა.

საცდელი დვინის ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური შესწავლა ხდებოდა ყოველი წლის ბოლოს და მიმდინარე მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით.

ევროპული და კახური ტიპის დვინოები მუშავდებოდა ცნობილი ტექნოლოგიური მეთოდებით. სადესერტო დვინოების ტექნოლოგიაში კი შეტანილ იქნა ცვლილებები, რაც განხილული იქნება ჩვენს მიერ ცალკეული ტიპის დვინის დახასიათებისას.

ხიხვი სიმწიფის მეორე პერიოდის ჯიშებს მიუკუთვნება და წლიური აქტიური ტემპერატურის ჯამიც ნაკლები სჭირდება ვიდრე რქაწითელს, საფერავსა და მწვანეს. ამის გამო ხიხვის ყურძენი 10-15 დღით ასწრებს ტექნიკურ სიმწიფეში შესვლას კახეთში გავრცელებული ვაზის ჯიშებს და ეს გარემოება ფრიად ხელსაყრელი ფაქტორია მაღალხარისხოვანი ქართული სადესერტო მედვინეობის განვითარებისათვის.

დ. ი. ტაბიძის (1962) მიხედვით ხიხვი მესხეთის რაიონების პირობებშიც კარგად მწიფდება და ზოგიერთ წელში სადესერტო მედვინეობისათვის გამოსადეგ ტექნიკურ სიმწიფესაც აღწევს. ამ ჯიშის ყურძენი ასევე კარგად მწიფდება ოდესის ოლქის მიდამოებშიც და სხვ.



შაქრების დაგროვების უნარითაც სჯუჭხის ტუზული კახეთში გავრცელებულ ვაზის ყველა ჯიშს. პიპლირისა და

მაღალ შაქრიანობასთან ერთად ხიხვის ყურძნის მარცვალთა საგრძნობი ნაწილი საღად ჩამიჩდება და წვენი ყოველთვის ინარჩუნებს შესატყვის მეავიანობას.

1954 წლის მოსავლის ხიხვის ჯიშის ყურძენში შემდეგ მიკრორაიონებში შაქრიანობა შედგენდა: კარდენახი 246 გ/ლ, ვაზისუბანი 246 გ/ლ, კურდღელაური 282 გ/ლ, ნაფარეული 226 გ/ლ რუისპირი 238 გ/ლ; ხოლო 1957 წელს კარდენახი 263 გ/ლ, ვაზისუბანი 290 გ/ლ, კურდღელაური 280 გ/ლ, ნაფარეული 262 გ/ლ, რუისპირი 286 გ/ლ.

ტიტრული მეავიანობა შესაბამისად 4,4-დან 7,8 გ/ლ – მერყეობდა. მეავიანობა განსაზღვრულ იქნა ხიხვის დაჩამიჩებულ და საღ მარცვლებში და პირველში უფრო მეტი აღმოჩნდა.

გამოკვლეულ იქნა მეავიანობის ცვალებადობა დუღილის პროცესში, რიტაც დასტურდება მისი ღვინოში საკმაოდ რაოდენობით შენარჩუნება.

ხიხვის ღვინოები დამწიფება-დავარგების პერიოდში უფრო მეტად განიცდიან აღმავლობას, ვიდრე იმავე ტიპის სხვა ყურძნის ჯიშების ღვინოები, რაც დასტურდება დეგუსტაციით.

ხიხვის ღვინის მიღრეკილება “ტოკაის” ტიპის ლიქიორული – ღვინისაკენ საკმაოდ არის ცნობილი და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ამ ტიპის ხიხვის ღვინომ ბევრჯერ ასახელა საქართველოს მეღვინეობა და

დამსახურებული ადგილი მოიპოვა როგორც საერთაშორისო,
ისე საკავშირო დებუსტაციებზე.

ერთ 360 ლი

ბიულეტენის

ხიხვის ლიქიორული ტიპის სამარკო ღვინო გამოდი-
ოდა 1950 წლამდე. მისი კონდიცია იყო: ალკოჰოლი 13%,
შაქრიანობა 24% და ტიტრული მუნიციპალიტეტი 5-7 გ/ლ. ნიშნე-
ბით – მუქი ქარვისფერი, ტოკაის ტიპისათვის დამახასიათე-
ბელი ბუკეტით.

გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ყოველ წელს და
ყველგან არ ხერხდება აღნიშნული კონდიციის ხიხვის
ღვინის მიღება და არც არის აუცილებელი აღნიშნულ
კონდიციაზე შეჩერება.

ხიხვის ლიქიორული ტიპის ღვინის რაოდენობრივი და
ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის აუცილებე-
ლია ორი სახის ღვინის გამოშვება. პირველის კონდიცია
იქნება ისეთი, როგორც ძველად იყო, მეორესი კი შემდეგი:
შაქრიანობა 18-20% და შესაბამისად ალკოჰოლი 15-16%.

დაზუსტებულ და შემუშავებულ იქნა ხიხვის
ლიქიორული ტიპის ღვინის ტექნოლოგია, რომელიც არსები-
თად განსხვავდება წინათ წარმოებაში მიღებული
ტექნოლოგიისაგან.

შეცვლილი ტექნოლოგია მეთოდურად გამიზნული
იქნა იქითკენ, რომ სრულყოფილად ყოფილიყო მიღწეული
სპირტის კარგი ასიმილაცია, ტიპიური ტონის განვითარება
და სრულყოფილი პარმონია.

მრავალწიური მონაცემებით გამოირკვა, რომ
ჩვეულებრივ პირობებში, რთველის პერიოდის გადაადგილუ-



ბით ხიხვის ყურძნის წვენში შაქრიანობა შეიძლება გაზიარდოს 29%-მდე.

დავუშვათ, რომ გვაქვს 29% შაქრიანობის შემცირების წესის მიხედვით ჩავატარეთ ფერმენტაციისა და არომატიზაციის ტექნოლოგიური ღონისძიებანი და გვინდა დავაყოვნოთ ლიქიორული ტიპის ღვინო, რომლის საბოლოო შაქრიანობაც გვექნება 24%.

ასეთი კონდიციის ღვინის მისაღებად საჭირო იქნება მთელი მოცულობის 7% სპირტის დამატება და გამოდის, რომ დუღილი უნდა განიცადოს მხოლოდ 3% - შაქარმა.


ცხადია ასეთ პირობებში მთლიანად გამორიცხულია მაჭრის თანდათანობითი დასპირტვა და დუღილის გახანგრძლივება, რაზედაც ბევრად არის დამოკიდებული მომავალი ღვინის ხარისხი.

აღნიშნულის მიღწევის მიზნით პირველად ტექნოლოგიაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

ფერმენტაცია-არომატიზაციის შემდეგ მიღებული მაჭარი გაიყო ორად. პირველი ნახევარი მოთავსდა სადუღარ ჭურჭელში და შემაგრდა 6% სიმაგრემდე. მეორე ნახევარი კი შემაგრდა 13-14% სიმაგრემდე და ამავე დროს, დუღილის შეჩერების მიზნით დაემატა ლიტრზე 0,2-0,3 გ.

დუღილის პროცესში ტექბილის მეორე ნახევარი დაშლილი შაქრის არსაღგენად და დუღილის გასაგრძელებლად ემატებოდა ძირითად მასას.

აღნიშნული ტექნოლოგიით მიღწეულ იქნა დუღილის გახანგრძლივება და შაქრის თანდათანობით დასპირტვა.



შედეგები მეტად დამაჯერებელი იქნა მიღებული, კარგად ჩატარდა სპირტის ასიმილირება, თავიდანვე ფაზურ სპირტის გადასაციფიციური ტონი, ჰარმონიული სისქე და როგორც მასალა, ისე ღვინოებიც მაღალი ნიშნებით იქნა შეფასებული. ადნიშნული ტექნოლოგით დამზადებულ იქნა ლიქიორული ტიპის ღვინოები: კარდენახის, კურდლელაურის, რუისპირის და ნაფარეულის მიკროზონებში. ჩატარებული ანალიზების და ღეგუსტაციის შემდგომ შეგვიძლია შევნიშნოთ რომ ხარისხით ყველაზე უკეთესია კარდენახის ნიმუში და ყველას ჩამორჩება ნაფარეულის სარწყავი ზოლის ნიმუში.

ხიხვის ლიქიორული ღვინის ზოგიერთი ნიმუში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს და იმდენად მდიდარია, რომ ღვინის დახასიათებისათვის ტერმინებით მდიდარ ქართულ ენასაც კი უჭირს შთაბეჭდილების ასახვა და გადმოცემა.

გამოკვლევების შედეგად ვლინდება, რომ აუცილებელია გამოშვებულ იქნას ხიხვის ლიქიორული ტიპის ორი სახის ღვინო.

პირველი სახის კონდიცია იქნება: 22-24% შაქარი, 13% ალკოჰოლი და ტიტრული მეაგიანობა, შეფერვა ოქროს ფერიდან ქარვის ფერამდე ნედლულად გამოყენებული იქნება უმეტეს წილად კახეთის ქვემო მხრის ხიხვის ყურძენი რომლის მარცვალთა 30-40%-იც დაჩამიჩებული იქნება. წინადადება შემოგვაჭვს ამ ღვინოს ეწოდოს “კახეთის თაფლი”, “კახეთის სიტქბო”, “კახეთის მზე” ან სხვა შესაფერისი სახელი.

შეორე სახის ღვინის კონდიცია იქნება: შაქრიანობა 18-20%, ალკოჰოლი 15%, ტიტრული მჟავიანობა 35% წრომიდებული ოქროს ფერი. უმეტეს წილად დამზადდება კახეთის ხეობრ მხარეში, დაუჩამიჩებელი ან ნაკლებად დაჩამიჩებული ყურძნიდან, რომლის შაქრიანობაც არ უნდა იყოს 24-26%-ზე ნაკლები. ვთავაზობთ ამ ღვინოს ეწოდოს “იყალთო”, “ჯანაანი” ან სხვა შესაფერისი სახელი.

6. გიგიბერიას მიერ (1973 წ) შესწავლილია ყურძნის ჯიშ ხიხვის ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები, როგორც ნედლეული ლიქიორული ტიპის სადესერტო ღვინის წარმოებისათვის. მისი სამუშაოს ძირითად მიზანს წარმოადგენდა ყურძნის ქიმიური შედგენილობის შესწავლა, სიმწიფისა და გადამუშავების პროცესში, აგრეთვე სადესერტო ღვინო ხიხვის ქიმიური შედგენილობა. ამ გამოკვლევების შედეგები გამოიყენება ლიქიორული ტიპის სადესერტო ღვინო ხიხვის მომზადებისათვის რაციონალური ტექნოლოგიური სქემის შესარჩევად. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა რომ:

ყურძნის ჯიში ხიხვი გავრცელებული ახოებში წარმოადგენს საუკეთესო ნედლეულს მაღალხარისხოვანი ლიქიორული ტიპის სადესერტო ღვინის მისაღებად. ამასთან დაკავშირებით ღვინო ხიხვის სანედლეულო ბაზის შექმნისათვის საჭირო გახდა გაფართოვდეს ვენახების ფართობი.

მის მიერ მიღებულმა ქიმიურ-ტექნოლოგიურმა მონაცემებმა გვიჩვენა, რომ მარალხარისხოვანი ლიქიორული ტიპის სადესერტო ღვინის მისაღებად სასურველია ყურძნის

უუნწების მიგრება რაც მოახდენს უურმნის მარცვლების შექ-
კნობას, რის შედეგადაც მარცვალში ხდება შაქრტუჭამჭუჭული
მალური რაოდენობის დაგროვება.



პირული მომენტები

ამისათვის უურმნის ტექნიკური სიმწიფის მომენტში
აუცილებელია ჩავატაროთ უუნწების მოგრეხვა ძირში, და
მოხცილდეს ფოთლები, რომლებიც ეფარება მტევანს.
უურმნის მექანიკური შედგენილობის ანალიზის შედეგად,
რომელიც ჩატარებულ იქნა მისი დაგრეხვის შემდეგ, დადგ-
ინდა რომ, უურმნის მარცვლები ჰქნება და არ განიცდის
ლპობას. ამიტომ მტევნის დაჩამიჩება არის მიზანშეწონილი
პროცესი. სიმწიფის პროცესში უურმნის წვენისა და მტევნის
მაგარ ნაწილებში ნაპოვნია თავისუფალი ამინომჟავების
გარკვეული რაოდენობა, რომლებიც დაჩამიჩების პროცესში
ძირითადად არ განიცდის ცვლილებას.

როგორც სიმწიფის ასევე მისი დაჩამიჩების პროცესში
ხიხვის მტევნის მაგარ ნაწილებში და წვენში განისაზღვრა
კატეხინების შემცველობა. ქალალდის ქრომატოგრაფიის
საშუალებით დადგენილია კატეხინების რაოდენობის ცვლი-
ლება სადესერტო დვინის აღწერილი ტექნოლოგიური სქემით
მომზადების დროს.

განსაზღვრულ იქნა შაქრის ხარისხობრივი და
რაოდენობრივი შედგენილობა, როგორც დაჩამიჩების პროც-
ესში მყოფი მტევნის მაგარ ნაიწლებში – ასევე უურმნის
წვენში. ჯერ კიდევ დაუკრეფავ უურძენში დიდი რაოდენობით
შაქრის დაგროვება წარმოადგენს ამ ჯიშის სპეციფიურ
თავისებურებას.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც სიძლიერის ასევე დაჩამიჩების პროცესში შაქრის შემცველობა მტკქნიშვილის ნაწილებსა და ყურძენში მაღალია, ასევე მასში პრეცენტის ზომიერი რაოდენობით ორგანული მფაგები, რომლებიც უდავოდ ახდენენ ზეგავლენას შემდგომი ღვინის ორგანოლეპტიკურ თვისებებზე.

ყურძნის გადამუშავების პერიოდში, მაღალხარისხოვან ღვინის მისაღებად სხვა პროგრესულ მეთოდებთან ერთად, ერთ-ერთ პროგრესულ მეთოდად ითვლება ყურძნის წვენის დაყოვნება მტკქნის მაგარ ნაწილებზე, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ყურძნის შაქრიანობაზე.

მტკქნის დაჩამიჩების პროცესი რომელიც განაპირობებს მაღალი რაოდენობით შაქრის დაგროვებას, საშუალებას იძლევა ტკბილი დავაყოვნოთ მტკქნის მაგარ ნაწილებზე შედარებით ხანგრძლივი დროით.

ღვინომასალაში სპირტის კარგად ასიმილაციისათვის აუცილებელია, მკაცრად დაფიცვათ მუდმივი სამჯერადი დასპირტვის მეთოდი, რომელიც მოგვცემს საშუალებას მზა პროდუქტში შევინარჩუნოთ გემოვნური ჰარმონიულობა.

2.1. პლაზმის ობიექტი და მეთოდები

ლაბორატორიული და მიკრომედგინეობის მოცულობით ჩატარებული სამუშაოს განხორციელების პროცესში გამოყენებული იყო მედვინეობის წარმოების როგორც ძირითადი, ისე დამხმარე მასალები: ყურძნის ტკბილი, ღვინომასალა;



შესწავლითია საკვლევი ობიექტების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებელი პარამეტრები კვლევის შესრულებულების ფართო სპექტრის გამოყენებით (ინფრაწითელი და ულტრაინისტერის სპექტროფოტომეტრია, ქაღალდისა და გაზურ-სითხერი ქრომატოგრაფია, ატომურ ადსორბციული სპექტროსკოპია). გამოყენებული იყო ენოქიმიის საანალიზო პრაქტიკაში მიღებული მეთოდები, კერძოდ: უმაღლესი ალკო-ჰოლების, რთული ეთერების, აქროლადი მჟავების, ალდე-ჰიდების, არომატული სპირტების, ლაქტონების თვისებრივი და რაოდენობრივი შემცველობის გამოკვლევა ხდებოდა ქრომატომასსპექტრომეტრის გამოყენებით; თავისუფალი ამინომჟავები ისაზღვრებოდა ქაღალდის ქრომატოგრაფიული მეთოდით (სოლდატენკოვი, მაზუროვა, 1962); ინგერსიული შაქარი-ბერტრანის მეთოდით; ფენოლკარბონული მჟავები, ლეიკოანტოციანები და კატეხინები – ქაღალდის ქრომატოგრაფიის მეთოდით; სპექტროფოტომეტრული ანალიზი ინფრაწითელ უბანში ტარდებოდა UR-20 მარკის სპექტროფოტომეტრზე.

გამოყენებული იყო, აგრეთვე, მცენარეთა ბიოქიმიასა და ენოქიმიის საანალიზო პრაქტიკაში მიღებული სხვა მეთოდებიც (ლაშეი, 1955).

ურელივე ზემოთქმულმა საშუალება მოგვცა, ერთის მხრივ, შეგვესწავლა საკვლევი ობიექტების ფიზიკურ-ქიმიური და ქიმიური მონაცემები, მეორეს მხრივ კი, დაგვედგინა ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიური ხერხებისა და პარამეტრების ეფექტურობა.


3. მურძნის პიშ „ხიხვის“ მურძნიდან პუნგრივაზე
ნახევრადტკბილი კახური და ევროპული ტრადიციული მდგრადი და მართვების შიმიური, ვიზიური მიმიური და მართვების
ტექნოლოგიური პარამეტრების შემუშავება

3.1 ბუნებრივად ნახევრადტკბილი ლგინომასალის დაყენების ქიმიურტექნოლოგიური პარამეტრების შემუშავება

ცნობილია ბუნებრივად ნახევრადტკბილი თეთრი ლგინის დაყენების ტექნოლოგიური წესი, რაც ითვალისწინებს ყურძნის გადამუშავებისა და დურდოს დაწურვის შემდეგ მიღებული თვითნადენი ფრაქციისა და პირველი გამონაწეხი ფრაქციის გადატანას დასაწყდომ ჭირჭელში, სადაც ტკბილს აჩერებენ 16-20 საათის განმავლობაში $10-12^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. მას ემატება გოგირდოვანი ანჰიდრიდი $150-200$ მგ/ლ-ის ოდენობით და ალკოჰოლურ დუღილს წარმართავენ 25°C -ის პირობებში. როცა შაქრიანობა მაღულარ ტკბილში დაიწევს $5-7\%$ -მდე, მაღულარ ტკბილს ატარებენ ქსოვილის ფილტრში საფუვრების მოცილების მიზნით. შემდეგ ატარებენ თბომცვლელში და დუღილის შეჩერების მიზნით 3°C -მდე აცივებენ და ათავსებენ სამაცივრო საკანში, სადაც იმყოფება $1-2$ თვის განმავლობაში $-1 - -2^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში.

*ღ/მ – აღნიშნავს ლგინომასალას



ცნობილია კახური ტიპის ღვინის დაყენების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ყურძნის ტებილის პრესტიჟულ ლური დუღილის წარმართვას ფერმენტირებულ ჭავაზე დადუღუბული ღვინომასალის დაყოვნებას ჭავა-კლერტზე თებერვალ-მარტამდე.

აღნიშნული ტექნოლოგით, ყურძენი იჭყლიტება კლერტის მოცილებით, საწრეტიდან მიღებული თვითნადენი და I ფრაქცია ერთიანდება, სველი დურდო იწნიხება, მიღებული მშრალი ჭავა დაქუცმაცებულ კლერტთან ერთად თავსდება სპეციალურ ნაჩვერებიან ღგამში და $18-20^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე და 4-5 საათის განმავლობაში მიმდინარეობს ფერმენტაცის პროცესი. შემგდეგ ფერმენტირებული ჭავა-კლერტი მთლიანად ნაწილდება ყურძნის ტებილში და ემატება საფუვრების წმინდა კულტურა.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო – შეგვემუშავებინა ბუნებრივად ნახევრადტებილი ღვინის დაყენების ისეთი ხერხი, რაც შესაძლებელს გახდიდა – ღვინომასალა გამდიდრებულიყო ყურძნის არომატული კომპონენტებით, ამავე დროს შეენარჩუნებინა ბუნებრივად ნახევრადტებილი ღვინისათვის დამახასიათებელ სინაზეს და ხავერდოვნება.

ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელების პროცესში ბუნებრივად ნახევრადტებილი ღვინის დაყენების ტექნოლოგიაში შევიტანეთ სიახლე ყურძნის ტებილის დადუღება 10% ოდენობით ფერმენტირებულ ჭავაზე დადუღებით, რამაც შესძინა ღვინოს ახალი თვისობრივი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.

ჭაჭის ფერმენტაციის მიზანი იყო გამოწურული აზლი ყურძნის ჭაჭის ფერმენტაციის გახარნგრძლივე შეკრუნებული ურთისესის შემცირება, რაც გამორიცხავს ჭაჭაში მარტინი ბაქტერიების გააქტიურებას პაერის ჟანგბადის ზემოქმედებით: ჭაჭაში ჟანგვა-ალდგენითი პროცესების ინტენსიფიკაცია დროის მცირე მონაკვეთში, რაც განაპირობებს ჭაჭაში ყურძნისეული კვებითი და დიეტური თვისებების მქონე ქიმიურ ნაერთთა დაგროვებას; ნახევრადტკბილი ღვინისათვის მახასიათებლების მინიჭებას, ნახევრადტკბილი ღვინის ახალი მარკის ჩამოყალიბებას.

დასახული მიზანი მიიღწეოდა იმით, რომ ახლადგამოწენებილი ყურძნის ნედლი ჭაჭას ვამუშავებდით ფართოზოლიანი და ახლოინფრაწითელი გამოსხივების დიაპაზონის და მუდმივი მაგნიტური ველის ერთობლივი ზემოქმედებით. დამუშავებული ჭაჭა შეგვქონდა ყურძნის ტკბილში და მასზე ვატარებდით ალკოჰოლურ დუღილს.

ფართოზოლიანი ახლოინფრაწითელი გამოსხივების დიაპაზონის და მუდმივი მაგნიტური ველის ერთობლივი ზემოქმედების ეფექტს საფუძვლად უდევს ფოტოფიზიკური და ფოტოქიმიური რეაქციები, რაც დაკავშირებულია ბიოქსოვილის მიერ შექის რეზონანსულ შთანთქმასთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება ატომებისა და მოლეკულების ელექტრულად აღგზნებული მდგომარეობა. ქსოვილში ირღვევა სუსტი მოლეკულათაშორისი ურთიერთმოქმედება და წარმოიქნება თავისუფალი იონები, რასაც მოხდევს ქსოვილებში მეტაბოლური რეაქციების გაძლიერება. ზემოქმედე-

ბის შედეგად იცვლება უჯრედოვანი მემბრანის ენერგეტიკული აქტივობა, ხდება აქტივაციის უჯრედთვის თული აპარატისა და აქტივაცის ფერმენტული სისტემების, ჟანგვა-აღდგენითი და ბიოსინთეზური პროცესების, ჟანგბადის შთანთქმის გაძლიერება.

ჩვენს მიერ შემიშავებული ბუნებრივად ნახევრადტებილი ღვინის დაყენების ტექნოლოგიური ხერხი (იხ. სურათი 3.1.1) ხორციელდება შემდეგი ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარებით:

I ვარიანტი. ყურძენი იკრიფებოდა 23-24 % შაქრიანობის დროს. იჭყლიტებოდა, თვითნადენი და I გამონაწეხი ერთად თავსდებოდა დასაწდომ ჭურჭელში. ცივდებოდა 10-12°C-მდე, ემატებოდა გოგირდოვანი ანჰიდრიდი 150 მგ/ლ-ის ოდენობით და ყოვნდებოდა 18-20 საათის განმავლობაში. შემდეგ დაწმენდილი ტბილი თავსდებოდა საღუდარ ჭურჭელში, სადაც დუღილი მიმდინარეობდა 25°C-მდე, ტემპერატურაზე, შემდეგ მაღუდარ მასას ატარებენ ქსოვილის ფილტრში საფუვრის ლექის მოსაცილებლად და 30 დღის განმავლობაში აჩერებენ -1 – -2°C პირობებში დუღილის შესაჩერებლად, რის შემდეგაც ღვინომასალას მაოცილებენ ლექს.

II ვარიანტი. ბუნებრივად ნახევრადტებილი ღვინომასალის დაყენების ტექნოლოგიური სქემა იგივეა, რაც აღწერილია I ვარიანტში, იმ განსხვავებით, რომ ყურძნის ტკბილში შეაქვთ 5 საათის განმავლობაში ბუნებრივად ფერმენტირებული გამოწეხილი ნედლი ჭაჭა 0.1 კგ/ლ-ის ოდენობით და მასზე მიმდინარეობს აღკოპოლური დუღილის პროცესი,



როცა მაღულარ მასაში ნარჩენი შაქრების რაოდენობა 5-7%-ს მიაღწევს. მაღულარ ტკბილს მოაცილებენ ჭაჭაპულადან ჩენ ოპერაციებს ატარებენ ისევე, როგორც ეს აღწერილია I ვარიანტში.

III ვარიანტი. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალის დაყენების ტექნოლოგიური სქემა იგივეა, რაც აღწერილია I ვარიანტში. იმ განსხვავებით, რომ ყურძნის ტკბილში შეგვქონდა ხელოვნურად ფერმენტირებული ყურძნის გამოწევილი ჭაჭა 0.1 კგ/ლ-ის ოდენობით. ფიზიკურ აგენტად გამოყენებული იყო ფართოზოლიანი ახლოინფრაწითელი გამოსხივების დიაპაზონისა და მუდმივი მაგნიტური ველის შერწყმული ერთობლივი ზემოქმედების ფაქტორი, რაც ხორციელდება კვანტური თერაპიის აპარატის – „მილტას“ გამოყენებით, ხვედრითი დოზით – 100 ჰერცი 10 წუთის განმავლობაში, 50 ჰერცი – 10 წუთის განმავლობაში. ალკოჰოლური დუღილი ტარდებოდა დამუშავებულ ჭაჭაზე, როცა ნარჩენი შაქრების რაოდენობა დავიდოდა 5-7%-მდე, მაღულარ ტკბილს ვაცილებდით ჭაჭას და ტექნოლოგიური პროცესები ვატარებდით ისევე, როგორც ეს აღწერილია I ვარიანტში.

IV ვარიანტი. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალის დაყენების ტექნოლოგიური სქემა იგივეა, რაც აღწერილია ვარიანტი I-ში. იმ განსხვავებით, რომ ყურძნის ტკბილში შეაქვთ ხელოვნურად ფერმენტირებული გამოწევილი ყურძნის ნედლი ჭაჭა 0.1 კგ/ლ-ის ოდენობით. ფიზიკურ აგენტად გამოყენებულია ფართოზოლიანი ახლოინფრაწითელი ახლოინფრაწითელი გამოსხივების დიაპაზონისა და მუდმივი მაგნიტური ველის შერწყმული ერთობლივი ზემოქმედების ფაქტორი, რაც ხორციელდება კვანტური თერაპიის აპარატის – „მილტას“ გამოყენებით, ხვედრითი დოზით – 100 ჰერცი 10 წუთის განმავლობაში, 50 ჰერცი – 10 წუთის განმავლობაში. ალკოჰოლური დუღილი ტარდებოდა დამუშავებულ ჭაჭაზე, როცა ნარჩენი შაქრების რაოდენობა დავიდოდა 5-7%-მდე, მაღულარ ტკბილს ვაცილებდით ჭაჭას და ტექნოლოგიური პროცესები ვატარებდით ისევე, როგორც ეს აღწერილია I ვარიანტში.




ტური ველის შერწყმული ერთობლივი ზემოქმედების ფაქტორი, რაც ხორციელდება კვანტური თერაპიის აქტუალურება – „მილტას” გამოყენებით, ხვედრითი დოზით – 5000 ჰერცი 10 წუთის განმავლობაში, 1000 ჰერცი – 10 წუთის განმავლობაში. ალკოჰოლური დუღილს ვატარებდით დამუშავებულ ჭაჭაზე, როცა ნარჩენი შაქრების რაოდენობა მიაღწევდა 5-7%-ს, მადუღარ ტებილს ვაცილებდით ჭაჭას და ტექნოლოგიური პროცესები ტარდებოდა ისევე, როგორც I ვარიანტში.


საკონტროლო და საცდელ ღვინომასალებს ჩაუტარდა სპექტროსკოპული ანალიზი, რომლის შედეგები მოცემულია სურათებზე 3.1.1.; 3.1.2. და 3.1.3.. ხოლო საკონტროლო და საცდელი ნახევრადტებილი ლ/მს ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში 3.1.1. და 3.1.2.

როგორც ცხრილიდან და სურათებიდან ჩანს, ბუნებრივად ნახევრადტებილ ღვინომასალაში (ფერმენტაციის გარეშე) დაფიქსირებულია ათი პიკი, რომელთაგან ორი მოთავსებულია ფენოლური, ბენზოლური ნაერთების უბანში (260-330ნმ), 4 პიკი – აზოტოვანი, ეთეროვანი ნაერთების უბანში (381-383ნმ)და ოთხი – უჯერი ნახშირწყალბადებისა და მჟავების უბანში (205-260). ამ ნიმუშის სპექტროგრამის მონაცემების შედარებით ფერმენტული ნიმუშების სპექტოგრამებთან აშეარად ჩანს განსხვავებები ექსტანციის კოეფიციენტების მაჩვენებლებს შორის. ასე, მაგალითად: ბუნებრივად ნახევრადტებილი ღვინომასალის ექსტანციის კოეფიციენტი 217 HM-ზე შეადგენს – 67.98-ს, 215 HM-ზე კი –


62.18-ს. ხელოვნურად ფერმენტირებულ ჭაჭაზე დადუღებული დვინომასალის ექსტენციის კოეფიციენტის მაჩვენებლებით თითქმის 6-ჯერ იზრდება და შეადგენს 400-ს. ორჯერ გაიზრდება E-ს მაჩვენებელი სხვა ტალღის სიგრძეებზეც და შეადგინა 400. ექსტენციის კოეფიციენტების მაჩვენებლების ზრდა განსაკუთრებულად აღსანიშნავია აზოტოვანი, ეთეროვანი ნაერთების უბანში. ყოველივე აღნიშნული მიგვანიშნებს არმატულ ნაერთთა მაჩვენებლების ზრდაზე, რაც საბოლოოდ დადებითად არის გამოხატული დვინომასალის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებში.



სურ. 3.1.1. ხიხვი - რუსიპირი 2005 წელი, ბუნებრივი გერმენტაციით მიღებული ნახევრადტკბილი დგინდომასასლის აფგანისტანის ანალიზის საქმიანობის შესრულებელი



სურ. 3.1.2. ხინკალი – რუსეპირი 2005 წ. ხელოვნური ფერ-მენტაციით მიღებული ნახევრადტებილი ღვინომასალის სპექტროსკოპიული ანალიზის სპექტროგრამა (დაბალი დოზა)



სურ. 3.1.3. ხიხვი – რუისპირი 2005 წ. ხელოვნური ფერ-მენტაციით გიღებული ნახევრად ტკბილი დეინომასალის სპექტროსკოპიული ანალიზის სპექტროგრამა (მაღალი დოზა)

როგორც 3.1.1. ცხრილიდან ჩანს, ხიხვის საცდელი გო-
მუშებში დაფიქსირდა 7 პიკი. ბენზოლური, ჰექსანდრინული
ნაერთების უბანში (260-330 HM) დაფიქსირდა 1 პიკი (281-283
HM), აზოტოვანი, ეთეროვანი ნაერთების უბანში (205-260
HM) 3 პიკი, უჯერი ნახშირწყლებისა და მჟავების უბანში –
3 პიკი.

ცხრილი 3.1.1. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალის – საექტროფოტომეტრული მახასიათებლები

„ხიხვის“ ღვინომასალა 2005 წ. ნ/ტკბილი ბუნებრივად		„ხიხვი“ ღვინომასალა 2005 წ. ბუნებრივი ფერმენტი		„ხიხვი“ ღვინომასალა 2005 წ. ხელოვნური ფერმენტაცია დაბალი დოზა		„ხიხვი“ ღვინომასალა 2005 წ. ხელოვნური ფერმენტაცია მაღალი დოზა	
ტალღის სიგრძე	ექსტინგის გოგიფი- ციენტი	ტალღის სიგრძე	ექსტინგის გოგიფი- ციენტი	ტალღის სიგრძე	ექსტინგის გოგიფი- ციენტი	ტალღის სიგრძე	ექსტინგის გოგიფი- ციენტი
323,9	7.9807.0 8	283.0	13.48	281.0	13.96	281.0	14.36
286.0	67.98	212.0	151.04	225.1	85.72	217.0	400
217.0	62.18	210.0	400.0	212.0	400	213.0	400
215.0	200.0	207.0	400	210.0	400	207.9	400
213.0	200.0	198.9	400	207.9	400	206.0	400
207.9	200.0	195.0	400	200.1	400	197.0	400
200.1	200.0	193.0	400	195.0	400	194.0	400
197.0	200.0						
195.0	200.0						
193.0	200.0						



როგორც ჩანს, ჭაჭის დამუშავების დოზის გაზრდასთან ერთად იზრდება ფენოლური ნაერთების შესაბამისი კიბების ექსტრემული გრძელებების მაჩვენებელი 13.48-დან 14.36-მდე, რაც მიგვანიშნებს ფენოლურ ნაერთთა რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდაზე.

საცდელ ნიმუშებში აღინიშნება, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ცვლილებები, ასე მაგალითად: დაბალი დოზით ჭაჭის დამუშავების შედეგად ღვინომასალაში ჩნდება ორი ახალი პიკი აზოტოვანი და ეთეროვანი ნაერთების უბანში (225 და 200 HM), უჯერი ნახშირწყლებისა და მჟავებს უბანში კი რჩება მხოლოდ ერთი პიკი. ჭაჭის მაღალი დოზით დამუშავების შედეგად ღვინომასალის სპექტროგრამაზე ჩნდება კიდევ ერთი ახალი პიკი 217 და 206 HM)-ზე. ამ უკანასკნელ ნიმუშში მაქსიმალურადაა გაზრდილი პიკების ექსტრემული გრძელები და შეადგენს 400-ს. 7 პიკიდან 6 ამ მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. უნდა აღინიშნოს, რომ პიკების 57.1% მოთავსებულია აზოტოვანი, ეთეროვანი ნაერთების უბანში, მაშინ, როცა ბურებრივად ფერმენტირებულ ჭაჭაზე დადუღებულ ღვინომასალის სპექტრზე იმავე უბანში პიკების %-ული შემცველობა 42.8-ს შეადგენს.

როგორც 3.1.2. ცხრილიდან ჩანს, ფერმენტირებულ ჭაჭაზე დადუღებულ ღვინომასალებში იზრდება ქიმიური კომპონენტების რაოდენობრივი შემცველობა. ხელოვნურად ფერმენტირებულსა და ბუნებრივად ფერმენტირებულ ჭაჭაზე დაყენებულ ღვინომასალებში. კერძოდ, ხელოვნურად ფერ-



მენტირებულ ღვინომასალაში იზდება მთრიმლავი ნეგოცირებულების რაოდენობა 25%-ით. ცილების რაოდენობული უფლებაში უმცირდება – 26.6%-ით. ფერმენტირებულ ნეტურუსტუნის იზრდება კალიუმისა და ნატრიუმის რაოდენობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კალიუმია რაოდენობის მაღალი მაჩენებელი – 1.350 გ/ლ, რაც უფრო ზრდის ამ ღვინომასალის კვებითსა და დიეტურ თვისებებს, ასევე მნიშვნელოვანია ფოსფორის რაოდენობის ზრდისა და შემცველობის მაღალი მაჩვენებელი – 474.03 მგ/ლ.

აქროლადი მჟავიანობის მაჩვენებლები ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა ხელოვნურად ფერმენტირებულ ჭაჭაზე დადუღებულ ღვინომასალაში აქროლადი მჟავიანობა დაბალია 0.11 გ.ლ-ით, ანუ 20%-ით ბურებრივად ფერმენტირებულთან შედარებით, ხოლო უჭაჭოდ დადუღებულ ღვინომასალებთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0.21 გ/ლ-ით, ანუ 32.3%-ით ნაკლებია. ეს გარემოება მეტყველებს ჭაჭის დამუშავების ტექნიკური ხერხის ეფექტურობაზე, რაც გამოიხატება იმით, რომ ზემოქმედების დრო მცირეა (20 წუთი). ეს კი გამორიცხავს გამოწურულ ჭაჭაში ძმარმჟავაბაქტერიების გააქტიურების საშუალებას, რაც შესაძლებელია მოხდეს ჭაჭის ბუნებრივი ფერმენტაციისას რამდენომე საათის განმავლობაში.

საგრძნობი ცვლილებებია საერთო ფენოლების შემცველობაში ბუნებრივად ფერმენტირებულ ჭაჭაზე დადუღებულ ღვინომასალაში უჭაჭოდ დაყენებულთან შედარებით გაზრდილია (1.25 გ.ლ). ხელოვნურად ფერმენტირებული



ჭაჭის 15%-იან წყალსპირტიან გამონაწვლილებში ქართული ფენოლების რაოდენობა იზრდება 19.98%-ით ბუნებრივი გარე ფერმენტირებულთან შედარებით, მაგრამ ხელოვნურად ფერმენტირებულ ჭაჭაზე დაღუღებულ ღვინომასალებში საერთო ფენოლები მცირდება დამუშავების დოზის ზრდასთან ერთად 48%-ით. ეს მოვლენა უნდა აიხსნას იმით, რომ გამოწურულ ჭაჭაზე ფიზიკური აგენტით ზემოქმედებით შედეგად იზრდება ფენოლების საერთო რაოდენობა ჟანგვა-ალდგენითი პროცესების ინტენსიფიკაციის შედეგად, ხოლო ამგვარ ჭაჭაზე ალკოჰოლური დუღილის პროცესში ინტენსიურად მიმდინარეობს ფენოლური ნაერთების აქტიური ჟანგვითი პროცესი, რაც საბოლოოდ იწვევს ღვინომასალაში მათ არომატულ ნაერთთა ფორმაში გადასვლას, ღვინომასალის არომატის გაძლიერებას და გემოს დარბილებას.

როგორც ცხრილი 3.12.-დან ჩანს, საერთო ექსტრაქტის რაოდენობა ხელოვნურად (გაზრდილი დოზით) ფერმენტირებულ ჭაჭაზე დაღუღებულ ღვინომასალაში, ბუნებრივად ფერმენტირებულთან შედარებით, მცირდება, რაც აისახება მის გემურ მაჩვენებლებში: ღვინო უფრო რბილი და სასიამოვნო გახდა.

პუნქტონიგად ნაჟერონალტერნალი სისტემის ლურჯისას კეტილური მასას სისტემებისათვის

N	გრძელება მ/წლებით	გრძელება მ/წლებით	გრძელება მ/წლებით	საკრიტიკული მდგრად აღმოჩენა დანარჩენა აკრიტიკული მდგრად	ანტიოქსიდანტი დანარჩენა აკრიტიკული მდგრად	K	Na	ცენტა მდგრად	2,5 მდგრად
1	ბაზურინგებაზ ნ/წლებით	12.0	7.1	0.65	4.1	9.8	1.2	1.15	-
2	ბაზურინგებაზ ნ/წლებით ნ/წლებით ბ-ც- ნ/წლებით ფ-ც- ს-ც-ც-ც-ც-ც-ც-ც- ჰაზურინგებაზ	12.2	6.1	0.55	3.9	16.2	1.43	1.25	4.0
3	ბაზურინგებაზ ნ/წლებით ნ/წლებით ტ-ც- ს-ც-ც-ც-ც-ც-ც-ც-ც- ჰაზურინგებაზ	12.1	6.6	0.43	4.0	18.4	1.59	0.75	4.3
4	ბაზურინგებაზ ნ/წლებით ნ/წლებით ტ-ც- ს-ც-ც-ც-ც-ც-ც-ც-ც-ც- ჰაზურინგებაზ	12.2	6.4	0.44	3.9	15.5	1.62	0.65	4.58

* ჰაზურინგებაზ ჭიათულის გამოსაწყვეტილების არაუცილირებული ჰაზურინგებაზ ჭიათული 3.82 გ/ლ



ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიურული მონაცემების გაანალიზების შედეგად შეიძლება დაშატულობის რომ გამოყენებული აგენტით ფერმენტირებულ ჭაჭაზე (მაღალი ხვედრითი დოზით) დადუღებული ნახევრადტკბილი დვინომასალა საკონტროლოსთან შედარებით გამოირჩევა მდიდარი ქიმიური შედგენილობით, რბილი, ჰარმონიული, ხილი არომატითა და გემოთი.

3.1.2. საცდელ ღვინომასალებაში თავისუფალ ამინომჟავათა და ფენოლგარბონმჟავათა გამოკვლევა

საცდელი ღვინომასალის თავისუფალ ამინომჟავათა თვისობრივმა (ქაღალდის ქრომატოგრაფიული მეთოდი) გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ჭაჭას ხელოვნური ფერმენტაციის ხერხის გამოყენებით საგრძნობლად გაიზარდა თავისუფალ ამინომჟავათა რაოდენობრივი შემცველობა სურ. 3.1.2.1. როგორც სურათიდან ჩანს ბუნებრივი ფერმენტაციით ჭაჭაზე დადუღებული ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალა შეიცავს მხოლოდ α-ალანინს (როგორც ევროპული ღვინომასალა) ნიმუში 5. და 6. ხელოვნური ფერმენტაციის გამოყენებით მიღებულ ღვინომასალაში დამატებით ჩნდება ნორმალური ამინომჟავები: ლიზინი, ჰისტიდინი, სერინი, პროლინი, ტრიფტოფანი და ლანინი (ნიმუში 9.). ეს შედეგი მიღწეულია ფიზიკური აგენტის მაღალი ხვედრითი დოზის გამოყენებით,



თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური აგენტის დაბალი ხვედრითი დოზის გამოყენებით, ასევე ინტენსიუმიტენსიუმი ამინომჟავათა თვისობრივი და რაოდენობრივი მასალების პროცესი.

ეს პროცესი უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ფიზიკური აგენტის ზრდით ხდება ერთის მხრივ, ცილების პიდროლიზი, მეორეს მხრივ კი საფუარების ცხოველქმედების გაძლიერება. ადსანიშნავია, რომ ინფრაწითელი გამოსხივება ხასიათდება საფუარების ცხოველქმედების გაძლიერების ეფექტით.

საცდელ ღვინომასალებში შესწავლილი იქნა აგრეთვე ფენოლკარბონმჟავათა შემცველობა ქაღალდის ქრომატოგრაფიის მეთოდით.

როგორც სურათიდან ჩანს ბუნებრივად ფერმენტირებულ ჭაჭაზე დადუღებული ნახევრადტექნიკილი ღვინომასალა შეიცავს მხოლოდ სამ კარბონმჟავას: ელაგის, ყავისა და ვანილინის მჟავებს.

ინფრაწითელი გამოსხივებისა და მუდმივი მაგნიტური გელის შერწყმული ზემოქმედებით, დამუშავებული ჭაჭით (დაბალი ხვედრითი დოზა) მიღებული ბუნებრივად ნახევრადტექნილ ღვინომასალაში ჩნდება 6 მჟავა: ელაგის, გალის, ქლოროგენის, ყავის, ოქსი-ბენზო და ვანილისნის მჟავები. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ლაქის შეფარვა უფრო ინტენსიურია სხვა ნიმუშებთან შედარებით, რაც ფენოლკარბონმჟავათა კონცენტრაციის ზრდაზე მეტყველებს.



ფიზიკური აგენტის მაღალი ხელდრითი დოზის
გამოყენების სემთხვევასი დფინომასალაში ჩნდება შემცველებელი
სესაბამისი ლაქა: ელაგის, გალის, ყავის, ოქსი-ბეტონური გრანატის
ვანილინნის მჟავები. ფენოლმჟავათა თვისობრიბი და
რაოდენობრივი ცვლილებები უნდა აიხსნას ინფრაწიგელი
გამოსხივებისა და მუდმივი მაგნიტური ველის შერწყმული
ზემოქმედებით. რაც გამოწვეული უნდა იყოს
მაღალმოლექულურ ფენოლური ნაერთების დახლეჩვით
დაბალმოლექულურ ფენოლურ ნივთიერებებად —
წარმოიქმნება არომატული აქროლადი ფენოლური
ნივთიერებები.



ପାତ୍ରବିଦ୍ୟାଲୀ


The image shows a dark, textured surface, likely a book cover or endpaper, with a grainy, mottled appearance. A vertical strip of lighter material runs along the right edge, featuring text in a light blue or white font. The text is arranged in two columns and reads "ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ" (Odisha Writer) at the top and "ବିଜୁ ପାତ୍ର" (Viju Patra) below it.

სერ 3.12.1 2005 წლის ხუნისაგან დაეკმაყოფილი სხვადასხვა ტიპის
დაზონიშვნისასთან თავისუფალ ასინომუავათ ქრომატოგრამა

1. კარლენასის მაქტოზნა, 2. რუსებისთვის მაქტოზნა, 3. ხიხვის კურძნის კლერიცის წყალსამოწელის გამონაწყლულება.

კვლეული ტიპის ლენობასთან: 5. გარდაცანის მიერთხების 2005 წლის 6. რეისბარის მიერთხობა.

ჭურმენტირებულ ჭაჭაშე დადგენებული ხახევრათ ტბილი ღვინოშალა: 7. ბუნებრივათ. 8. სელენურათ. 9. შავალი ხევდროთი დოზა.



სარ. 3.1.1 ნახ. ნასევირად ტექილი ღვინის დამზადების აპარატურულ-ტექნოლოგიური სქემა

1. აეროჰიდროფინი;
2. მწევბავ ხეიმინა;
3. საჭყლებულებულები;
4. ღურდოს გადამზად ტურბინა;
5. სულფიტატორი;
6. საწრეტისაცლელი;
7. წნევა;
8. დამზადებული რეზისურარი;
9. ტუბირ;
10. ობობეცვლელი მილი-მილ ჟილ;
- 11-16. გამცირებული რეზისურარი;
17. სამაცივრო ტაქტურა;
18. ჯენერას შესანახი რეზისურარი;
19. დენის მარნებში ჩემონგვარება.

ფირფიცებისათვის ფილტრის გენერას მარნებში რეზისურარის ფილტრი.

3.2. კახური ტიპის ღვინოებასა და მათი გამოყენების მიზანი-ტექნიკური პარამეტრების შემთხვევაში გამოყენების მათი ზოზიპურ-ძიგიური თვის მახასის უსაფრთხოება

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა კახური ტიპის
ღვინის დაყენებისათვის შეგვემუშავებინა ჭაჭა-კლერტის
ფერმენტაციის ისეთი ხერხი, რაც შეამცირებდა
ფერმენტაციის დროის ხანგრძლივობას და გამოწვლილ ჭაჭა-
კლერტში ჟანგვა-აღდგენითი პროცესების ინტენსიფიკაციას.
ამ მიზნით 2006 წლის როგორც სეზონზე კარდანახის
მიკროზონის ხიხვის უურძნისაგან დავაყენეთ კახური ტიპის
ღ/მ ფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტის გამოყენებით,
რისთვისაც გამოვიყენეთ ბუნებრივად ნახევრადტებილ
ღვინომასალაში გამოყენებული ჭაჭის ფერმენტაციის მეთოდი
– ფართოზოლიანი ახლოინფრაწითელი გამოსხივების
დიაპაზონისა და მუდმივი მაგნიტური ველის შერწყმული
ერთობლივი ზემოქმედება – შემდეგი პარამეტრებით:
გამოსხივების სიმძლავრით 120 მიკროვატი, ტალღის სიგრძე
– 400-600 ნმ; სიხშირე – 5.000 და 1.000 ჰერცი (10 წუთის
განმავლობაში), მუდმივი მაგნიტური ველის ინდუქცია – 40-
60 მიკრო ტესლა.

კახური ტიპის ღვინომასალა მიღებული იქნა სამი
ვარიანტით:

I ვარიანტი – ღვინომასალა, დაღუდებული
არაფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტზე (საკონტროლო);


II ვარიანტი – ბუნებრივად ფერმენტირებულ ჭაჭა-კლე-
რტზე;



III ვარიანტი – ინფრაწითელ გამოსხივება კულტურული მუდმვივი მაგნიტური ველის ზემოქმედებით დამუშავებული ფერმენტირებული (ფერმენტირებული) ჭაჭა-კლერტზე.

ჭაჭა-კლერტის ბუნებრივ ფერმენტაციას ვატარებდით შემდეგნაირად: ღურდოდან მოცილებულ და გამოწურულ ჭაჭა-კლერტის 1,5-2,0 სმ სისქის ფენად ვშლიდით დახვრეტილ ხის სადგამზე 12 საათის განმავლობაში 24-28°C-ის პირობებში.

ფერმენტირებული ჭაჭა-კლერტი წიპწითერთ შეგვქონდა ყურძნის ტკბილში და ვატარებდით ალკოჰოლური დუღილს ინტენსიური დარევით ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ დადურებულ მასას ვაცილებდით ჭაჭა-კლერტსა და წიპწას. ახალგაზრდა ღვინომასალას კი ცალკე ჭურჭელში ვინახავდით (იხ.სქემა 3.2.1)



ნამ. 32/1 ძარღული ტექნიკური უნივერსიტეტის დაცვების პარატურულ ტექნიკური სკოლა
 1. ყურძნის შემზება; 2. ზოგადი ხელმისა 3. მუსიკის საწევნები; 4-8. ტურნე; 5. სულფათოლზე
 უკრძალვა-გამოყენება; 6. საღვეულო ექსპერიმენტი; 7. ჰანიკა ჩატარება; 9. ჭავიდან მოსახლეობა; 10. წარმოდგენილობა; 11. გადამტენი ტურნე; 12. დინოსი დაცვულების ჰარმონიზაცია.

3.2.1. ღვინომასალის ინფრაჭითელი ჰთათობის სპეციალის დახასიათება



ყურძნის გადამუშავების პროდუქტების ანალიზურ პრაქტიკაში კვლევის სპეციალული მეთოდი (ხილული, ულტრაიისფერი, ინფრაწითელი) წარმატებით გამოიყენება. შთანთქმის ინფრაწითელი სპეციალის იძლევა შესაძლებლობას-დახასიათებულ იქნას ყურძნის გადამუშავების პროდუქტების არომატული, ფენოლური, აზოტოვანი და სხვა ნაერთების თვისებრივი შემცველობა. ცალკეული ფუნქციონალური ჯგუფების განსაზღვრის გზით, მათი გარდაქმნის დინამიკა სხვადასხვა ტექნოლოგიურ ღონისძიებებთან დაკავშირებით და ჟანგვა-აღდგენითი პროცესების ინტენსიური და მიღებული მონაცემები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეაღგენდა – შეგვესწავლა ხიხვისაგან სხვადასხვა ტიპის ღვინოების დაყენების შესაძლებლობები კახოთის ცალკეული მიკროზონის მიხედვით და გამოგვეპვლია საკვლევი ღვინომასალის ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები. 2003 წლის როვლის სეზონზე კარდანახის (მოწყობილი) და რუისპირის მიკროზონებიდან მოწეული ყურძნისაგან დაყენებული იქნა ხიხვის სუფრის მშრალი კახური ტიპის ღვინომასალები სეპაჟის სახით გამოყენებული იქნა ყურძნის ჯიშები რქაწითელი და კახური მწვანე გადაღებულ იქნა მათი ინფრაწითელი შთანთქმის სპეციალის UR – 20 მარკის სპეციალული მეტრზე.

სურ. 3.2.1.-ზე წარმოდგენილია ხიხვის, რქაწოთველისა და
კახური მწვანის ყურძნისაგან დაყენებული კახური ტიპის
ღვინომასალის სპექტროგრამები.

გიგანტუროვანი

როგორც სურ. 3.2.1.-დან ჩანს, რქაწოთველის
სპექტროგრამებზე ჩნდება სხვადასხვა კლასის ქიმიური
ნაერთების შესაბამისი პიკები: პირველადი სპირტების (1065
სმ⁻¹), არომატული ბირთვის (1650 სმ⁻¹), რთული ეთერების
(1700 სმ⁻¹), კარბონმჟავების (1750 სმ⁻¹), ალიფატური
ნაერთების (2930 სმ⁻¹), გოგირდშემცველი ნაერთების (1065 სმ⁻¹),
ამინოშემცველი ნაერთებისაა (3430 სმ⁻¹), შაქრებისა და
პიდროქსილის (3420 სმ⁻¹) შესაბამისი პიკები.

ზემოაღნიშნული ნაერთების პიკებიდან განსაკუთრებით
გამოირჩევა არომატული ბირთვის შესაბამისი პიკი (1650 სმ⁻¹),
3000-3700 სმ⁻¹ -ის უბანში, რომელიც მოიცავს სპირტების,
პიდროქსილისა და ამინომჟავათა შესაბამის პიკებს.

უნდა აღინიშნოს, რომ არომატული ბირთვის შესაბამ-
ისი პიკი (1650 სმ⁻¹), ხიხვის (კარდანახი) ღვინომასალის
სპექტროგრამაზე, სხვა ღ/მს ნიმუშებთან შედარებით,
საგრძნობლად დიდია, რაც მიუთითებს არომატული ნაერთე-
ბის შედარებით მაღალ კონცენტრაციაზე კარდანახის ხიხვის
ღვინომასალაში.


რუისპირის ხიხვის ღვინომასალის სპექტროგრამაზე
არომატული ბირთვის შესაბამისი პიკი შედარებით მცირე
ზომისაა. როგორც ჩანს, ამ ნიმუშში არომატულ ნაერთთა
კონცენტრაცია შედარებით დაბალია.



უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: რქაწითელის ღვინო-
მასალის სპექტროგრამაზე (420-430 სმ¹) პლაზმული
დაფიქსირდა, მაშინ, როცა რქაწითელი + კახური მწვერვალი
(15%) ღვინომასალის სპექტროგრამაზე, აგრეთვე ხიხვის ღვი-
ნომასალის სპექტროგრამაზე გამოისახება პიკები.

საჭიროა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც:
კარდანახის ხიხვის ღვინომასალის სპექტროგრამა თავის
თვისებრივი მახასიათებლებით თითქმის იდენტურია
რქაწითელი + კახური მწვანე (15%) ღვინომასალის სპექტრო-
გრამისა, მაშინ, როცა მსგავსი სურათი არ აღინიშნება კარ-
დანახის რქაწითელის ღვინომასალის სპექტროგრამაზე.
შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ კახური მწვანე ანიჭებს
რქაწითელის ღვინომასალას არომატულ იერს, რაც ასევე
დამახასიათებელია კარდანახის ხიხვის ღვინომასალისათვის.

ზემოაღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე შეიძლება
დავასკვნათ, რომ კარდანახის ღვინომასალა, რუისპირის ხიხ-
ვის ღვინომასალასთან შედარებით გამოირჩევა არომატული
ბირთვის ნაერთების მაღალი კონცენტრაციით. ეს ღვინომა-
სალა ხარისხობრივი მახასიათებლებით უახლოვდება
რქაწითელი + კახური მწვანე (15%) ღვინომასალას.



სურ. 32.1. დეინომახალქინის ინფრარედოვლი სპექტრები:
 1. რქანითები. 2. რქაწილება 15 % + კაჩური მწვანე; 3. ხიხე (კარდენაზი);
 4. ხიხვა (რუს. ბირ).



3.22. ღვინომასალების ულტრაიისფერი

შთანთქმის სპეციალის დახასიათება ექიმული

პილუმინიუმის
სპეციული

სპეცირის ულტრაიიფერი უბანი პირველად 1801 წელს

იქნა აღმოჩენილი რიხტერის მიერ. მას შემდეგ
აბსორბციული სპექტროსკოპიის მნიშვნელობა საკმაოდ
გაიზარდა და ეს მეთოდი სადღეისოდ წარმატებით
გამოიყენება ლაბორატორიულსა და საწარმოო პრაქტიკაში.
სპექტროსკოპიული მეთოდი განეკუთვნება ანალიზის
უზუსტეს მეთოდებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია
განისაზღვროს ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისებრივი
შედგენილობა, კვების პროდუქტების შემადგენელ
კომპონენტთა შესწავლა და დახასიათება.

სპექტრული ანალიზი ფართოდაა გაშუქებული
სპეციალურ ლიტარატურაში [ეგოროვი, 1958; ლაშეი, 1962;
ღლონტი 1972, 2002].

ავტორთა საერთო აზრით, ექსტინქციის კოეფიციენტსა
და ალკოჰოლური სასმელების ხარისხის მაჩვენებლებს შო-
რის არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება. რაც უფრო
მაღალია სასმელის ხარისხი, მით უფრო მაღალია ექსტი-
ნქციის კოეფიციენტის მაჩვენებელი.

შთანთქმის უბნის მდებარეობისა და ექსტინქციის
კოეფიციენტის სიდიდის მიხედვით ი. ეგოროვმა (1962) ღვი-
ნოები დაყო 3 ჯგუფად: I – წინანდალი, რისლინგი (რო-
მელთა ექსტენციის მაქსიმუმი – (260-265 ნმ) 12,0-ს არ აღვ-
მატება. II – მაღალხარისხოვანი და ძველი დგინდებისათვის
ექსტენცია იგივე ტალღაზე (E აღმატება 12,0-ს); III – და-



ბალხარისხოვანი ხერესის დვინოები (შთანთქმის მაქსიმუმი 270 წ; E ახლოსაა 16,0-თან) [6]. მისი აზრით უკიდურესი გადამცენების შთანთქმის უბნის გრძელი ტალღებისაკენ გადაადგილება უნდა აიხსნას ალდეპიდებისა და აცეტალების დიდი შემცველობით სხვა ტიპის დვინოებთან შედარებით. მისი მონაცემებით, ექსტინქციის მაქსიმუმი 280 -ის არეში იმყოფება ხერესის ტიპის დვინოებისა და კონიაკების ხარისხთან დამოკიდებულებაში და ემთხვევა საღეგუსტაციო შეფასებებს.

თ. ღლონტის (2002) მონაცემებით საკონიკავ სპირტის, ქ. წ. „კონიაკის მაქსიმუმის”, შექმნაში უნდა მონაწილეობდნენ ძმრისა და ალიფატური რიგის სხვა ალდეპიდები და მათი დიეთილაცეტალები, რომელთა შთანთქმის მაქსიმუმი 270-285 HM-ის არეში მერყეობს. იმ შემთხვევაში, როცა შთანთქმის მაქსიმუმები ღრმა ულტრაიისფერი არისაკენ იხრება, გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდნენ „არაალდეპიდური” ფრაქციის შემადგენელი კომპონენტები.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა 2003; 2004 და 2005 წლის რთველის სეზონზე დამზადებული კახური ტიპის დვინომასალების ფიზიკურ-ქიმიური მასასიათებლები და მოგვეხდინა მათი დაყენების წლების მიხედვით შედარებითი ანალიზი.

აღნიშნული დვინომასალების სპექტროფოტომეტრული ანალიზი ჩავატარეთ “UV Visible Cary-so Scan” მარკის ვარიანის ფირმის სპექტროფოტომეტრზე. სურათებზე 3.2.2.1. და 3.2.2.2. და ცხრილებში 3.2.2.1. და 3.2.2.2. წარმოდგენილია



საცდელი ნიმუშების ტალღის სიგრძეებისა და ექსტრემული
კოეფიციენტების მაჩვენებლები.

ტროპიკული
ტენისის განვითარება

როგორც სურათებიდან და ცხრილიდან შემოთხვევა
დანახის კახური ტიპის ხიხის ღვინომასალაში დაფიქსირე-
ბულია 16 პიკი, ხოლო რუისპირის კახური ტიპის ღვინომა-
სალაში – 20 პიკი. კარდანახის ღვინომასალაში 11 პიკი მდე-
ბარეობს 205-260 HM-ის უბანში (აზოტოვანი, ეთეროვანი
ნაერთები), 4 პიკი – 185-205 HM-ის უბანში (უჯერი ნახშირ-
წყალბადები, მჟავები), მხოლოდ ერთი პირკი – 260-330 HM-ის
უბანში (ფენოლური, ბენზოლური ნაერთები).


2004 წლის რუისპირის ღვინომასალაში, კარდანახის
ღვინომასალისაგან განსხვავებით, 16 პიკი იმყოფება 205-260
HM-ის უბანში, ხოლო 185-205 HM-ის უბანში – 3 პიკი. 260-330
HM-ის უბანში ერთი პიკია დაფიქსირებული.

კარდანახის ღვინომასალის ექსტინქციის
კოეფიციენტები მდებარეობს 34,9-სა და 51,8-ს შორის, მაშინ,
როცა რუისპირის ღვინომასალის ექსტინქციის
კოეფიციენტების მაჩვენებლები საგრძნობლად იზრდება და
35,71-100,0-ის ფარგლებში იმყოფება. E-ს მაქსიმალური
მაჩვენებლები (100,0) დაფიქსირებულია 237,0 HM-ზე, 234,9
HM-სა და 230,1 HM-ზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ
სამი პიკიდან მხოლოდ ერთი (234 HM) ჩნდება კარდანახის
ღვინომასალაში ორჯერ შემცირებული E-ს მაჩვენებლით
(51,44).


როგორც სურათიდან ჩანს, კარდანახის ღვინომასალის
(2003 წ) სპექტროგრამაზე დაფიქსირდა 20 პიკი, რომლებიც



განაწილებულია შემდეგნაირად. პიკების უმრავლესობა - (10) თავმოყრილია 185-205 HM-ის უბანში. 205-260 HM-ის უბანში 9, მხოლოდ ერთი პიკი ჩნდება 260-330 HM-ის უბანში. ამ ღვინომასალის E-ს მაჩვენებლები მერყეობს 12.10-დან 42.33-ის ფარგლებში. რუისპირის (2003 წ) ხიხვის ღვინომასალის სპექტროგრამა მკვეთრად განსხვავდება კარდანახის ღვინომასალის სპექტროგრამისაგან როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი შემცველობით. ამ ნიმუშში აღმოჩენილია მხოლოდ 12 პიკი, რომელთა ძირითადი ნაწილი (8 პიკი) მდებარეობს 205-260 HM-ის უბანში, მხოლოდ სამი პიკია 185-205 HM-ის უბანში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ 8 პიკს აქვთ ექსტინქციის კოეფიციენტის ერთნაირი მაღალი მაჩვენებელი - 100.0




სურ. 3.2.2.1. გახური ღვინომასალის სპექტროგრამა, ხისგი 2003 წელი
ფოტომეტრული ანალიზის სპექტროგრამა, ხისგი 2003 წელი
(კარდენასი)



სურ. 3.2.2.2. კახური ღვინომასალის სპეცი-
ფოტომეტრული ანალიზის სპექტოგრამა, ხიხვი 2003 წელი
(რუისპირი)



სურ. 3.2.2.3. კახური ღვინომასალის სპექტო-
ფოტომეტრული ანალიზის სპექტოგრამა, ხიხვი 2004 წელი
(რუსპირი)



სურ. 3.2.2.4. გახური დვინომასალის სპექტრო-
ფოტომეტრული ანალიზის სპექტროგრამა, ხიხე 2004 წელი
(კარდენახი)



განური ტიპის დ/მს სპექტროფოტომეტრიული მ 360 ლი
მახასიათებლები ხიხვის პირის განვითარება

ხიხვი – კარდანახი 2004 წლის დ/მ		ხიხვი – რუსპირი 2004 წლის დ/მ		ხიხვი – კარდანახი 2003 წლის დ/მ		ხიხვი – რუსპირი 2003 წლის დ/მ	
HM	E	HM	E	HM	E	HM	E
278.9	23.07	278.9	29.63	278.9	12.10	280.0	1.187
243.1	39.45	246.1	44.44	233.0	38.28	231.1	100.0
234.9	51.84	244.0	42.69	230.1	40.11	227.9	100.0
233.0	46.53	241.0	40.69	227.1	42.33	224.0	100.0
226.0	40.86	239.0	41.58	223.0	41.87	219.9	100.0
223.0	39.95	237.0	100.0	220.0	37.59	218.0	100.0
220.0	39.79	234.0	100.0	217.0	37.45	213.0	100.0
217.0	38.12	231.9	48.44	212.9	35.76	208.0	100.0
215.0	39.04	230.1	100.0	208.1	37.99	205.0	100.0
211.1	37.13	228.0	51.51	206.0	38.70	202.0	39.08
208.1	38.21	225.0	41.41	204.0	38.70	200.0	100.0
205.1	37.77	221.0	41.63	204.0	36.81	192.9	39.04
200.0	37.08	219.1	38.33	200.0	37.08		
197.0	36.63	215.0	39.24	194.9	35.81		
194.0	35.92	212.9	38.88	191.0	33.74		
194.9	34.92	21.0	38.07	203.0	38.29		
		207.0	39.45	198.9	37.07		
		204.0	39.48	197.0	36.32		
		198.9	39.71	194.9	37.75		
		196.1	35.71	193.3	35.89		
				191.0	35.59		




ყურძნისაგან დაყენებული სხვადასხვა ტიპის ღვინის ექსტინ-
ქციის კოეფიციენტების (E) მაჩვენებლები მოცემულია სუ-
რათებზე 3.2.2.5. და 3.2.2.6, და ცხრილში 3.2.2.2..

აღსანიშნავია, რომ კარდანახის მიკროზონის კახური
ტიპის ღვინომასალაში დაფიქსირდა 9 პიკი, რუისპირის მიკ-
როზონაში კი 8. ამასთან, კარდანახის ღვინომასალის
სპექტრის პიკების ნახევარზე მეტი მოთავსებულია 205-260
HM-ის უბანში (აზოტოვანი, ეთეროვანი ნაერთები),
რუისპირის ღვინომასალის სპექტრზე იმავე უბანში მხოლოდ
3 პიკია, - ხოლო 185-205 HM-ის უბანში (უჯერი ნახშირ-
წყალბადები, მჟავები) თავმოყრილია 4 პიკი (50%).
განსხვავება ამ ორ ნიმუშს შორის გამოხატულია შთანთქმის
ცალკეული უბნების არსებობა-არარსებობით, მაგალითად,
215 და 217 HM-ის უბნები გვაქვს კარდანახის ღვინომასალის
სპექტრზე და არა გვაქვს რუისპირის ღვინის სპექტრზე. გან-
სხვავება არსებობს ასევე ექსტინქციის სიდიდეებს შორის.
კარდანახის ღვინომასალის სპექტრის 6 პიკის E უდრის 1000-
ს, მაშინ, როცა რუისპირის ღვინომასალის 6 პიკის
შეადგენს 400-ს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კარდანახის კახური
ტიპის ღვინომასალაში თვალსაჩინოა, როგორც ბენზოლური,
ფენოლური ნაერთების, ისე უჯერი ნახშირწყალბადებისა და
მჟავების გაზრდილი კონცენტრაცია, უპირატესად კი ბენ-
ზოლური, ფენოლური ნაერთების უბანში. ამასთან,

რუისპირის დვინომასალის სპექტრზე როგორც ბენზოლურ-
ფენოლური, ისე უჯერი ნახშირწყალბადების ნაერთშესწავლა
ჯერ უფრო მცირე კონცენტრაცია იკვეთება.





სურ. 3.2.2.5. ხიხვი, გარდენახი, კახური 2005 წელი




Fig. 32.2.6. UV-Vis absorption spectrum of a sample solution, 2005. (Source: 2005)



ცხრილი 32.2.
საქართველოს

ხიხვის ჯიშისაგან დაყენებული კახური ტიპის დამსახურები (2005)
სპეციალურობის მახასიათებლები (2005)

ხიხვი - კარდანახი 2005 წლის კახური ტიპის ღ/მ		ხიხვი - რუსპირი 2005 წლის კახური ტიპის ღ/მ	
HM	E	HM	E
281.0	41.1	280.1	26.75
226.9	246.0	230.1	12.108
225.1	265.8	226.0	400
217.0	1000.0	207.9	400
215.0	1000.0	200.1	400
207.0	1000.0	197.0	400
201.9	1000.0	194.0	400
195.0	1000.0	191.0	400
191.9	1000.0		

ცხრილზე 32.2.3. წარმოდგენილია სხვადასხვა ვარიანტებით დაყენებული ხიხვის კახური ტიპის საცდელი ღ/მს – ულტრაიისფერი შთანთქმის სპეციალურობის ექსტინქციის კოეფიციენტი (E) მაჩვენებლები.

საკონტროლო ნიმუშის სპეციალურობაზე 32.2.7. გამოსახულია ხიხვის კახური ტიპის ღვინომასალის საკონტროლო, ულტრაიისფერი შტანთქმის სპეციალური სურ. 32.2.8. იგივე ღვინომასალა ბუნებრივად ფერმენტირებულ ჭაჭაზე, ხოლო 32.2.9.-ზე კი ინფრაწითელი გამოსხივებისა და მუდმივი მაგნიტური ველის ერთობლივი ზემოქმედებით ღვინომასალების ულტრაიისფერი შტანთქმის სპეციალურები.

**ხიხვის კახური ტიპის ღვინის ულტრაიისფერი შეანთქმის
სპექტრი**

არაფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტზე დადუღებული - K - 2006 წ ღვინ ომასალა		ბუნებრივად ფერ- მენტირებულ ჭაჭა- კლერტზე დადუღებული 2006 წ ღვინომასალა		ინფრარედული გა- მოსახულებით ფერ- მენტირებულ ჭაჭა- კლერტზე დადუღე- ბული 2006 წ ღვინ ომასალა	
HM	E	HM	E	HM	E
1	2	3	4	5	6
348.9	4.401	348.9	4.958	348.9	4.805
345.0	4.123	347.1	3.951	345.0	4.667341.0
4.005	345.0	4.140	343.0	343.0	4.310
339.0	3.950	343.0	4.991	340.0	10.000
334.0	3.954	340.0	4.130	338.0	10.000
331.9	3.950	338.0	4.159	335.1	4.495
329.0	4.170	336.0	3.966	333.0	10.000
324.0	4.336	334.0	3.989	331.0	4.826
319.0	4.781	331.9	4.095	329.0	4.356
315.0	4.035	329.0	4.313	326.0	10.000
313.0	4.192	326.9	4.290	324.0	4.783
311.0	4.321	325.1	4.524	320.1	10.000
305.0	4.241	321.0	4.669	315.0	10.000
300.0	4.745	316.0	4.833	312.1	10.000
298.0	4.922	315.0	4.352	310.0	10.000
295.0	4.854	313.0	4.496	307.1	10.000
291.1	4.293	308.0	10.000	305.0	5.213
287.9	4.409	306.9	10.000	302.0	10.000
284.9	4.856	303.9	4.977	300.0	10.000
281.0	4.683	300.9	10.000	290.0	10.000
278.0	4.231	299.1	10.000	287.9	10.000
273.9	4.545	295.9	10.000	286.0	10.000
272.1	5.196	294.1	10.000	283.1	10.000
270.0	4.397	292.1	5.434	278.0	10.000
268.0	4.465	289.1	10.000	265.0	10.000
265.9	4.530	286.0	5.097	262.0	10.000
261.0	4.846	284.1	10.000	257.0	10.000
257.0	4.645	282.0	4.802	255.1	10.000
254.0	4.830	280.1	10.000	239.0	10.000

252.1	4.562	276.9	4.497	236.1	10.000
248.9	4.937	273.9	10.000	234.0	10.000
247.0	4.870	270.0	10.000	232.0	10.000
245.0	4.541	267.0	10.000	228.1	10.000
243.0	4.645	264.0	10.000	225.1	4.432
240.0	4.187	262.0	10.000	223.0	4.358
237.0	4.141	259.0	10.000	221.0	4.707
234.0	4.442	258.1	4.543	219.0	4.168
232.0	3.901	256.0	10.000	213.9	4.325
229.0	4.607	253.0	5.039	210.9	3.879
227.0	4.358	250.0	10.000	209.1	4.045
221.9	4.041	245.0	10.000	207.0	3.998
218.0	3.915	240.9	5.371	205.0	4.005
213.9	4.093	237.9	10.000	203.1	3.822
210.0	3.722	235.0	10.000	199.0	3.824
207.0	3.907	231.0	4.253	194.0	3.789
201.0	3.595	229.0	10.000	192.0	3.830
199.0	3.773	225.1	4.350		
195.0	3.829	221.0	5.052		
		219.0	4.159		
		217.1	3.879		
		213.9	3.853		
		212.0	3.936		
		210.0	3.836		
		207.9	3.953		
		206.1	3.837		
		203.1	3.893		
		199.9	3.942		
		194.0	3.641		
		191.0	4.249		



როგორც ცხრილიდან და სურათებიდან (სურ. 3.2.2.7.)

3.2.2.8. და 3.2.2.9) ჩანს, საკონტროლო ღვინოშის კლიმატული სპექტროგრამის მრუდი მკვეთრად განსხვავებული ფერმური გრამებისაგან. ნიმუშებში ექსტრაქციის კოეფიციენტების მონაცემების მიხედვით შეიმჩნევა საგრძნობი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები ბუნებრივი ფერმენტაციითა და ინფრაწითელი გამოსხივების დიაპაზონისა და მუდმივი მაგნიტური ველის შერწყმული ზემოქმედებით ფერმენტირებულ ჭაჭაზე დადუღებულ ღვინომასალებში ფერმენტაციის გარეშე დადუღებული ღვინომასალათან შედარებით. ეს ცვლილებები უპირატესად ეხება ბენზოლური, ფენოლურ და ეთეროგანაზოტოვან ნაერთების შესაბამის უბნებს.

როგორც ვხედავთ, არაფერმენტირებულ ჭაჭაკლერტზე დადუღებული ღვინომასალის სპექტროგრამაზე გამოისახა 4-8 პიკი. ბუნებრივი ფერმენტაციით ჭაჭაკლერტზე დადუღებული ღვინომასალის სპექტროგრამაზე – 59 პიკი, ხოლო ხელოვნურად ფერმენტირებულ ჭაჭაკლერტზე დადუღებული ღვინომასალის სპექტროგრამაზე – 48 პიკი.

საკონტროლო ნიმუშის სპექტროგრამაზე 348-265 ჰმ-ის ფარგლებში დაფიქსირდა 26 პიკი, 265-205 ჰმ-ის უბანში – 19 პიკი, ხოლო 205-185 ჰმ-ის უბანში – მხოლოდ 3 პიკი. როგორც ჩანს, საცდელი ღვინომასალის არომატული კომპლექსი ძირითადად წარმოდგენილია აზოტოვან-ეთეროვან ნაერთთა და ბენზოლურ-ფენოლური ნაერთებით. ამ ნიმუშში


ექსტინქციის კოეფიციენტების სიმაღლე მერყეობს 3.595-დან 5.196-ის ფარგლებში. მაქსიმალური მაჩვენებელი (ჭ.197) გვთავაზონი მოხატულია 272.1 ჸმ-ის უბანში. შედარებით შალალი ექსტინქციის კოეფიციენტის მაჩვენებელი დაფიქსირდა 248.9 ჸმ-ზე (4.937). სხვა უბნებში ექსინქციის კოეფიციენტის მაჩვენებლები უფრო დაბალია ექსტინქციის კოეფიციენტთა ეს მაჩვენებლები მეტყველებს არომატული ნაერთების დაბალ კონცენტრაციაზე საცდელი ნიმუშების მაჩვენებლებთან შედარებით.

ბუნებრივი ფერმენტაციით დამუშავებულ ჭაჭა-
კლერტზე და დაღუდებული ღვინომასალის სპექტროგრამაზე
348.9-265 ჸმ-ის ფარგლებში დაფიქსირდა 33 პიკი, 265-205 ჸმ-
ის ფარგლებში 22, 205-185 ჸმ-ის ფარგლებში – 4 პიკი. ამ
საცდელ ნიმუშში საგრძნობლად იზრდება ექსტინქციის
კოეფიციენტის სიდიდეები ორჯერ და უფრო მეტად. ასე, მა-
გალითად სპექტროგრამის მთლიან უბანში დაფიქსირდა 21
პიკი 10.0 კოეფიციენტის მაჩვენებლით, რომელთაგან 348.9-265
ჸმ-ის უბანში თავმოყრილია 12 პიკი. უნდა აღინიშნოს, რომ
ამ პიკებიდან 5 პიკი ბრტყელთავიანია. ყველაზე ბრტყელი
თავით გამოირჩევა პიკები 245 და 250 ჸმ-ზე. სხვა დანარჩენი
პიკები (16 პიკი) მახილთავიანია. ეს განსხვავებები პიკების
სიდიდეებს შორის ($E=10.0$ -ის ფარგლებში) მეტყველებს
ნაერთთა სხვადასხვა კონცენტრაციის არსებობაზე.


ხელოვნური ფერმენტაციით დამუშავებულ ჭაჭა-
კლერტზე დაყენებული ღვინომასალის სპექტროგრამაზე
348.9-265 ჸმ-ის უბანში დაფიქსირდა 25 პიკი, 265-205 ჸმ-ის

უბანში კი – 17 პიკი, 205-185 ჰმ-ის უბანში 4 პიკი. ექსტრემული ქციის კოეფიციენტი მაჩვენებლით – 10.0 სამივე დაფიქსირდა 23 პიკი. აქედან 348.9-265 ჰმ-ის უბანში აღმოჩნდა 17 პიკი, 265-205 ჰმ-ის უბანში – 6, 205-185 ჰმ-ის უბანში არცერთი.


სპექტროგრამის მთლიან უბანში დაფიქსირდა განიერთავიანი 9 პიკი და მახვილთავიანი – 14. ყველაზე ბრტყელთავიანი პიკი დაფიქსირდა 255 ჰმ-ზე, შემდეგ 278 ჰმ-ზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი ფერმენტაციით მიღებული ღვინომასალის სპექტროგრამაზე ამ უბანში პიკი არ დაფიქსირებულა. სულ 348-265 ჰმ-ის უბანში დაფიქსირდა 6 განიერთავიანი პიკი. 265-205 ჰმ-ის უბანში კი – 3 პიკი. მაშინ, როცა ბუნებრივი ფერმენტაციით მიღებული ღვინომასალის სპექტროგრამაზე 348-265 ჰმ-ის უბანში აღმოჩნდა სულ 2 ბრტყელთავიანი პიკი, 265-205 ჰმ-ის უბანში კი – 3 პიკი. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ფართოზოლიანი, ინფრაწითელი გამოსხივებისა და მუდმივი მაგნიტური ველის ერთობლივი ზემოქმედების შედეგად ფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტზე დადურებულ ღვინომასალაში უფრო ინტენსიურად გროვდება არომატწარმომქმნელი ბენზოლურ-ფენოლური ნაერთები, ხელოვნური ფერემნტაციის ზემოქმედებით ინტენსიფიცირდება ჟანგვა-აღდგენითი პროცესები, რაც გამოიხატება თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებებით არომატწარმომქმნელ აქროლად ნაერთთა შემადგენლობაში.



სურ.32.2.7. ხიხვის გახური ტიპის ღვინის ულტრაიის-
ფერი შტანთქმის სპექტრი (საკონტროლო)



სურ. 3.2.2.8. ბუნებრივად ფერმენტირებულ ჭაჭა-
პლერტზე დაღურებული ხიხვის კახური ტიპის დანიმდასა-
ნის ულტრავისუვერი შთანთქმის სპექტრი



სურ. 3.2.2.9. ინფრაწილით გამოსხივებისა და მუდმივი მაგნიტური ელის ერთობლივი ზემოქმედებით ფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტზე დაღულებული ხიხვის კანური ტიპის ლეინო-მასალის ულტრაიისტური შთანთქმის სპექტრი



როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური ფერმენტაციით
მიღებული ღ/მ სპექტროფოტომეტრული მონაცემებით, ჩრდილოეთი კავკასიის გითად განსხვავდება არაფერმენტირებულ ჭაჭაზე დაღუდულ ბული ღვინომასალისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ უდირაიისფერი სპექტრის 270-280 ჰმ-ის უბანი ღვინისა და კონიაკის ხარისხობრივი მაჩვნებლების გამომხატველია. საკვლევი ნიმუშების სადეგუსტაციო შეაფსებამ დაადასტურა ეს კონონზომიერება.

საქართველოს მებალეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის სადეგუსტაციო კომისიის შეფასებით საკონტროლო ღვინომასალა (არაფერმენტირებულ ჭაჭაზე დაღუდულებული) ხასიათდება ღია ჩალისფერით, ჯიშური არომატითა და გემოთი, სასიამოვნო არომატით, დამახასიათებელი სიყვითლით, ბალური შეფასება – 8,53.

ბუნებრივი ფერმენტაციით მიღებული ღვინომასალა ხასიათდება სრული სხეულით, ექსტრაქტულობით, ტიპიურობით, უფრო ინტენსიური შეფერვით, პერსპექტიული – ბალური შეფასება – 8,56. ხელოვნური ფერმენტაციით მიღებული საცდელი ღვინომასალს ხასიათდება ნაკლებად ინტენსიური შეფერილობით, სასიამოვნო სირბილით, ტიპიური არომატითა და გემოთი, უფრო მეტი არომატულობითა და ხავერდოვნებით, ბალური შეფასება – 8,76.

კვლევის შედეგად მიღებული სპექტროფოტომეტრული და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების ურთიერთ შეჯერებისა და გაანალიზების შედეგად შეიძლება დაგასკვნათ, რომ:
1) ღ/მს ხარისხობრივი მაჩვნენებელი, რაც მათი ორ-



განოლეპტიკური შეფასების შედეგად დგინდება, ობიექტების ეთანწყობა ღ/მს არომატულ ნაერთთა შემადგმულობა; 2) ჭაჭა-კლერტის ფერმენტაცია საგრძნობლად ამაღლებს ღ/მს ხარისხოან მაჩვენებლებს. სძენს მათ დავარგებული ღ/მს ჩვეულ სირბილეს, ხავერდოვნებას, ამდიდრებს მათ არომატული აზოტოვან-ეთეროვანი და ფენოლურ-ბენზოლური ნაერთებით; 3) ჭაჭის ფერმენტაცია ახლოინფრაწითელ გამოსხივების დიაპაზონისა და მუდმივი მაგნიტრუი ველის შერწყმული ზემოქმედების ხერხით აჩქარებს ჟანგვა-აღდგენით პროცესებს ჭაჭა-კლერტში, რაც საბოლოო შედეგით ამაღლებს ღვინომასალას არომატწარმომქმნელი ნაერთებითა და დაუანგული ფენოლების ფორმათა წარმოქმნითა და დაგროვებით, რაც სძენს ღვინომასალას უფრო მეტ სირბილესა და ხავერდოვნებას.

საცდელი ღვინომასალების თვისებრივმა ქრომატოგრაფიულმა გამოკვლევამ (იხ. სურ 3.2.2.10.) გვიჩვენა, რომ საკონტროლო (არაფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტზე დადუღუ-ბულმა) ღვინომასალაში აღმოჩნდა ასპარაგინის მჟავის, ლიზინის, ჰისტიდინის და სერინის მნიშვნელოვნად შეფერილი ლაქები, რაც ამ ამინომჟავათა მაღალ კონცენტრაციით არსებობაზე მიგვანიშნებს. ამ ღვინომასალაში დაფიქსირდა აგრეთვე პროლინისა და ცისტეინის შემცველობა.

ბუნებრივად ფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტზე დადუღუ-ბულ ღვინომასალაში ზემოაღნიშნულ ამინომაჟავებთან ერთად ჩნდება აგრეთვე, α-ალანინი და ტრიფტოფანი,



გალინის შესაბამისი ლაქა შედარებით ნაკლებ ინტენსიურო შეფერვისაა. ამ ღვინომასალაშიც დაფიქსირდა პროჭიბის ლეიცინის და ასპარაგინის შემცველობა.

ახლოინფრაწითელი გამოსხივებისა და მუდმივი მაგნიტური ველის შერწყმული ზემოქმედებით ფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტზე დადუღებული ღვინომასალა შეიცავდა: ასპარაგინის მქავას, ლიზინს, ჰისტიდინს, სერინს (მაღალი კონცენტრაციით), პროლინს, α-ალანინს, ტრიფტოფანს და ასპარაგინის შემცველობას.

ხელოვნური ფერმენტაციით დამუშავებულ ჭაჭაზე დადუღებულ ღვინომასალის ქრომატოგრამაზე თავისუფალ ამინომჟავათა შესაბამისი ლაქების ერთ ლაქაში გაერთიერება შეიძლება აიხსნას ცალკეულ ამინომჟავათა კონცენტრაციის გაზრდით, რაც შეიძლება იყოს მიზეზი ლაქების ურთიერთ-გადაფარვისა, ფიზიკური აგენტის ზემოქმედება კი შეიზღება გახდეს ცილების ჰიდროლიზის მიზეზი, რაც გამოიწვევს ამინომჟავათა თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს.

საკვლევ ნიმუშებში ქრომატოგრაფიული მეთოდით შესწავლილ იქნა ფენოლმჟავების შემცველობა. აღსანიშნავია, რომ როგორც არაფერმენტირებულ ისე ფერმენტირებულ ჭაჭა-კლერტზე დადურებული ღვინოებში გამოისახა ინტენსიურად შეფერილი ყავისმჟავის ლაქა, რაც მიგვანიშნებს ამ მჟავების მაღალი კონცენტრაციაზე საკვლევ ღვინომასალებში.



სურ. 3.2.2.10. ხისეისაგან დაკრძალული ქახური ტიპის დუნომასალის თავისუფალ აშინობრევათა ქრიმიტიკურამა

არაფერმენტორებულ ჭაჭაბე: 1. ასპარაგინის შეავა; 2. ლიზინი; 3. პისტიდინი; 4. სერინი; 5. პროლინი; 6. ტროფუტოფანი.

ბუნებრივი ფერმენტირებულ ჭაჭაბე: 1. ასპარაგინის შეავა; 2. ლიზინი; 3. პისტიდინი; 4. სერინი; 5. პროლინი; 6. α -ალანინი; 7. ტრიაფენოვანი; 8. კალინი; 9. ლეციცინი.

ხელოვნური და ფერმენტირებულ ჭაჭაბე: 12. ასპარაგინის შეავა + ლიზინი; 3.4. პისტიდინი + სერინი; 5.6. პროლინი + α -ალანინი; 7.8. ტრიაფენოვანი + კალინი.



პიდროლიზებადი ტანინის შემცველობით საცდეჭირფული
საკონტროლო ნიმუშები ახლოს დგანან ერთმანეთთვისტურისა

საკვლევ ნიმუშებში ქრომატოგრამაზე კარგად ჩანს
კონცენტრირებული ტანინები, თუმცა ისინი სტარტზე რჩე-
ბიან.

პოლიფენოლების რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა,
რომ საკონტროლო დვინომასალაში (არაფერმენტირებულ
ჭაჭა-კლერტზე დადუღებული) პოლიფენოლების შემცველობა
შეადგენს 940 მგ/ლ-ს ბუნებრივად ფერმენტირებულ ჭაჭა-
კლერტზე დაყენებულ დვინომასალაში პოლიფენოლების
საერთო რაოდენობამ შეადგინა 1330 მგ/ლ-ზე, ანუ მოიმატა
300-მგ/ლ-ით, ხელოვნურად ფერმენტირებულ ჭაჭაზე დაყოვ-
ნებულ დვინომასალაში კი პოლიფენოლების საერთო
რაოდენობამ შეადგინა – 850 მგ/ლ-ზე, ანუ საკონტროლო
ნიმუშთან შედარებით შემცირდა 90მგ/ლ-ით.

3.2.3. გახშრი ტიპის ღვინის არომატულ ნივთიერებათა ბამოკვლევა

უმაღლესი ალკოჰოლები და რთული ეთერები ყურძნის
ღვინის მნიშვნელოვან ნაერთთა ჯგუფებს განეკუთვნება.
უმაღლესი ალკოჰოლები შედიან ე. წ. „რახის ზეთების“
შემადგენლობაში. უმაღლესი ალკოჰოლები ტოქსიკური
თვისებების მატარებელნი არიან, თუმცა შხამიანობის
მიუხედავად, მათი თანამყოფობა დვინოში პარმონიული
ბუპეტისა და გემოს ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა.



ცხიმოვანი რიგის მქავათა ეთერები უმაღლეს კლასი
პოლებთან შედარებით, უფრო სურნელოვანნი არის მათ
სხვა დანარჩენი ეთერები და მნიშვნელოვან როლს
თამაშობენ ღვინის ბუკეტის ჩამოყალიბებაში.

ღვინოში ეთერების დაგროვების ორი გზა არსებობს:
ბიოლოგიური (დუღილისას) და ქიმიური (დავარგებისას).

ერლიხი (1909, 1912) უმაღლეს ალკოჰოლთა წარმოქმნას
განიხილავდა, როგორც ამინომჟავათა პიღროლიზური
დეზამინირების პროცესს. ნოიბაუერი, ფრომჭერცი (1911) და
ვილანდი (1922) უმაღლეს ალკოჰოლთა წარმოქმნას მიაწერენ
ამინომჟავათა დაუანგვითი დეზამინირების პროცესს.

სისაკიანის (1952) ვესელიოვის (1952), ჟენევუას (1962),
კასტორისა და გუიმონის (1952) მონაცემებით წარმოქმნილი
ალკოჰოლების რაოდენობა არ ემთხვეოდა მოსალოდნელ
თეორიულ გაანგარიშებას. უმაღლესი ალკოჰოლები ყოველთ-
ვის ნავარაუდზე მეტი გროვდებოდა.

ჟენევუასა და ბაროს (1959) აზრით, რახის ზეთები არ
წარმოიშობიან ამინომჟავებისაგან, არამედ ითვლებიან საფუ-
ვრების ცხოველომოქმედების პროდუქტებად.

ანტონიანმა და ავტორებმა (1958), იოშიხავამ და ავ-
ტორებმა (1961) დაამტკიცეს, რომ საფუვრებს შესწევთ უნარი
– წარმოქმნას საწყის ამინომჟავაზე უფრო გრძელი ნახშირ-
ბადული ჯაჭვის მქონე უმაღლესი ალკოჰოლები.


ჩვენი კვლევის მიზანი იყო – შეგვესწავლა უმაღლესი
ალკოჰოლებისა და რთული ეთერების შემცველობა კახური
ტექნოლოგიით დაყენებული ხიხვის, რქაწითელისა და



კახური მწვანის ღვინომასალებში. ღ/მ დაყენებული გვქონდა კარდენახისა (გურჯაანის რაიონი) და რუისპირის (რუისპირის რაიონი) მოწეული ხიხვის ჯიშის ყურძნის, კარდენახის წარაფის (გულიწარაფის) მიკროუბნის ზვრებიდან მოწეული რქაწითელისა და კახური მწვანის ყურძნისაგან. წარაფის ღვინომასალა დაყენებული იყო რქაწითელის ყურძნენში კახური მწვანის შერევით – 15%-ის ოდენობით.

საკვლევი ნიმუშების ქრომატოგრაფიული ანალიზი ჩავატარეთ ქრომატომასსპექტრომეტრზე მასსპექტრო-მეტრული დეტექტორის გამოყენებით. ექსტრაგენტი – ქლოროფორმი. შიგა სტანდარტად გამოყენებული იყო პენტანოლი (1 მგ/ლ).


